# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№109 (9789) 2024 წლის 23 სექტემბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი


## შემოლაწუნება საქართველოს




3

ბიძინა ივანიშვილის „ბოდიში“ და... ქართულ-რუსული ურთიერთობები

მეცნიერება და მომავლის ეკონომიკა

## მსოფლიოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ბოლოდროინდელი მოვლენების გამოძახილი

6-7



შუა დერეფნის ენერგეტიკული განზომილება






2

## მოდი და იცხოვრე ასეთ ქვეყანაში!

## გიორგი გახარია: მე ეს მოლაპარაკებები უფრო ადრე უნდა დამესრულებინა!..

4





5

## ისევ კონსტიტუციის უხეში დარღვევა!

რამაზ საყვარელიძე: პრეზიდენტობის კანდიდატად სალომეს წამოყენება არაფრის გარანტია არ არის...



8

## წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა...

საქართველო შოთა რუსთაველია, ცოტნე დადიანია, ქართლის ერისთავი ნერსეა, დავით სოსლანია, ერეკლე მეფეა, ალუდა ქეთელაურია, სერჟანტი ანწუხელიძეა...

## არჩევნების წინ ვიზალიბერალიზაციის გაუქმებას არავინ დაიწყებს...

4



7

## „ნიჭიერთა ათწლედს“ ახალი შენობა აქვს!

## სასწაულმოქმედი ოქონის ტრიპტიქონი – საქართველოში!

9



## მადლობა ყველას!



მსოფლიო ვარსკვლავების მატჩი თბილისში

10

# მოდი და იცხოვრე ასეთ ქვეყანაში!

**გაოგნებული ვარ ამ კაცის (კაცების), რომელიც ჩვენი ოპოზიციის წინასაარჩევნო ომს ხელმძღვანელობს დედამიწის რომელიღაც კუთხიდან-ევროპა იქნება, ამერიკა თუ ბიბლიური მესოპოტამია, სიბრძნითა და წინდახედულობით, რა თქმა უნდა, იაღლიშებიც უხვად მოსდის, მაგრამ ხანდახან ისეთს გამოაქანებს, თმები ყალყზე დაგიდგება.**




აი, ამ დღეებშიც... რა ხანია დალაგდა ძირითადი ოპოზიციური პოლიტიკური ძალების სქემა: „გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებებისთვის“, „ძლიერი საქართველო“, „გახარია საქართველოსთვის“. გამოიკვეთა 4 ძირითადი საბრძოლო ცენტრი, რომლებიც თანდათან გამსხვილდნენ ჭია-ღუების შემატებით, იმათ ხარჯზე, ვისაც საარჩევნო ბარიერის გადალახვის იმედი კვირტშივე ჰქონდა დაკარგული, ანუ ასეთი იმედი შექმნის დღიდან არ ჰქონიათ.

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ თავიდანვე აეკიდა „სტრატეგია აღმაშენებელი“. მის ლიდერს გიორგი ვაშაძეს, თუკი რამ ნიჭი მოეძეოდა იმაში გამოიხატა რომ, ბევრი იწილობიწილო არ დაუწყია პარტნიორის საძებნელად და უმალ ნაცებს მიეხუტა, რომელთა მიერ საარჩევნო ბარიერის დაძლევა არანაირ ეჭვს არ იწვევდა.

სუბიექტები შეიერთა, მაგრამ ამით „ახლებს“ (გვარამია-მელია) ფაქტობრივად არაფერი შემატებიათ, ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძისა და ელენე ხოშტარიას შეძენით არავითარი პრაქტიკული ძალა არ მიუმხრიათ.

**ასევე მხოლოდ „ხმაურიანი“ სახელები მიიწერა „ლელომ“ (აწ უკვე „ძლიერმა საქართველომ“) ალექსანდრე ელისაშვილის, ანა დოლიძისა და ლევან ცუცქირიძის „პარტიების“ გვერდში ამოყენებით. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ზაფხულის საპროტესტო აქციები ჟანგბადად ექცა ა. ელისაშვილს, რომელიც მომენტს არ კარგავს ტელეეკრანზე გამოსაჩენად და როგორც კი ჟურნალისტები ობიექტივებს მამუკა ხაზარაძისკენ მიმართავენ, უმალ გვერდში ამოუდგება ხოლმე კოალიციის ლიდერს.**

მეოთხე ცენტრი გიორგი გახარია-თვალთხარიასი აქამდე დედისერთად მოვიდა, დამატებით არავინ გვჭირდება, ბარიერს ჩვენითაც იოლად გადავლახავთო. თანამგზავრთა გარეშე ოდენ თვალთხარია იყო შთენილი და ამას საკმაოდ ამაყად აცხადებდა. ოღონდ მისი ეს მარტოდშთენილობა იმ ვიღაცას, ვინც ჩვენს ოპოზიციას განაგებს, ასე ვთქვათ, მესოპოტამიიდან, თვალში არ მოუვიდა, სარისკოდ ეჩვენა და „ძლიერი საქართველოსა“ და გახარიას გაერთიანება მიიჩნია უპრიანად და მომგებიანად სხვა დანარჩენ „გაერთიანებასთან“ შედარებით. გასცა კიდეც სათანადო განკარგულება. მას პირობითი „ოთხი ცენტრის“ ნაცვლად სამი ნაღდი ცენტრი უნდა შეექმნა და არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება სათუო არ უნდა გაეხადა. ისე რომ, სასწორის პინაზე თავად არჩევნებ-რევოლუციის შედეგი იდებოდა.

**სავარაუდოდ, ბრძანება ამ განკარგულების აღსრულების თაობაზე პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მიიღო, რომელიც კარგა ხანია პრეზიდენტი, აღარ არის, მაგრამ იმ მესოპოტამიელი წინამძღვრის შერჩევით ოპოზიციის ლიდერს წარმოადგენს. ნიშანდობლივია გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მიხაილ როთის სიტყვები ახლახან სტუმრობისას: „თუ მამაც პოლიტიკოსს ეძებთ, მას საქართველოში იპოვით. სალომე ზურაბიშვილი ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს ევროატლანტიკური მომავლის გარანტია“.**

მამუკა ხაზარაძისა და გიორგი გახარიას პირველი შეხვედრა ორბელიანების სასახლეში შედგა. ქალბატონი სალომეს ამ სვლას ანალიტიკოსებმა „ლაზიერის გამბიტი“ უწოდეს და პოზიტიური შეფასება მისცეს.

მათ უმალ იყნოსეს, რომ გაჩნდა „მესამე პოლიტიკური ცენტრის“ შექმნის შანსი, რაც დიდი სტიმული იქნებოდა გადაუწყვეტელი ამომრჩევლისთვის, რომელთა რაოდენობაც, მკვლევართა გამოთვლით 60%-ია და სწორი საარჩევნო კამპანიის წარმართვის შემთხვევაში ხაზარაძე-გახარიას ალიანსს ამ ხმების წამოღება შეეძლო. უფრო მეტიც, რეალურად ეჩვენებოდათ, რომ მათ იმდენი მანდატის მოპოვება შეეძლოთ, რომ მათ გარეშე ვერც “ოცნება“ და ვერც ნაცმოძრაობა გადაწყვეტილებების მიღებას ვერ მოახერხებდნენ, რაც გზას გახსნიდა კოალიციური მთავრობისკენ.

ალბათ, ამ კოალიციას სალომე ზურაბიშვილის სამომავლო იმედებიც ეფუძნებოდა, კერძოდ, მეორე ვადით საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭის ყრა...

აი, ასეთი წინაისტორია ჰქონდა პრეზიდენტის გარშემო ხაზარაძე-გახარიას შემოკრებას. მოლაპარაკება ორ საფეხურად წარიმართა. თითქმის ყველაფერზე მოვილაპარაკეთო, ხაზარაძემ, როცა მეორე დღეს ცალად მივიდა სალომესთან და გახარიას გრძელი ცხვირის ნაცვლად მისი თავზარდამცემი განცხადების ამბავი შეიტყო, ელდანაცემივით შეიძურწა პრეზიდენტის კაბინეტში...

ამრიგად, არაო, ნწუო, ყოფილმა პრემიერმა, არ გამოვა ასეთი შეთანხმებაო, პარიტეტი გვინდა, თანასწორობა, მყარი პირობა „ოცნებასთან“ და ნაცებთან შეურწყმელობის შესახებო, მოკლედ არც მეტი, არც ნაკლები, სამი პირობაო! აქ როგორც ლენჯოდან კროლი კაკალი, იჭყიტება ვარაუდი, რომ ამ ჩაშლაში „ლელოს“ შენამატი სუბიექტების მიმართ უამურ დამოკიდებულებასაც მიუძღვის წვლილი.

**მოკლედ, ჯერჯერობით მაინც, ჩაიშალა საგულდაგულოდ მოფიქრებულ-გაშალაშინებული გეგმა, რომელზეც მგლის კუდივით იყო გამობმული არჩევნებში გამარჯვების უთუოობა. თუმცა, რა მოხდება ხვალ-ზეგ, რა იშკილებით მიუდგებიან გახარიას, რას გამოუქექავენ, რა ანკესს მოსდებენ ლაყუჩებში და მაინც დაითანხმებენ, ერთმა ღმერთმა იცის. ესეც არ იყოს, 26 ოქტომბრამდე ჯერ კიდევ არის დრო, ბევრი ფოკუსის მოგონება კიდევ შეიძლება, ეგეთები გვინახავს?**

ხომ ასეთი ზემძლავრი მოვლენა იყო ეს ჩაშლილი „ქორწინება“ ქალბატონი პრეზიდენტის მაშვლობითა და მაყრობით, მაგრამ მას ხმაურითა და თითის ქნევით „ეს მოგივა, დავითაო“, გაასწრო აშშ სახაზინო დეპარტამენტის მიერ დაწესებულმა სანქციებმა საქართველოს შსს-ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის ზვიად (ხარება) ხარაზიშვილის, მისი მოადგილის მილერ ლაგაზაურისა და ალტ-ინფოს დამფუძნებლების კონსტანტინე მორგოშიასა და ზურაბ მახარაძის მიმართ „მშვიდობიანი დემონსტრაციებისა და პოლიტიკური ოპონენტების ძალადობრივ დარბევასთან დაკავშირებით“. ასევე დასაჯეს „საქართველოში დემოკრატიის ძირის გამოთხრაში მონაწილე“ 60 ქართველი და მათი ოჯახის წევრები: მათ წინააღმდეგ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა სავიზო შეზღუდვები დააწესა.

სახაზინო დეპარტამენტის მიერ დაწესებული სანქციები ნიშნავს, რომ ამ პირებს ეზღუდებათ (უკვე) ფინანსურ რესურსებზე წვდომა. როგორც ცნობილია, აშშ-ის მიერ დაწესებულ სანქციებს უნდა დაემორჩილონ ქართული საფინანსო ინსტიტუტებიც. ასე რომ, ამ ოთხეულის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები სერიოზული რამ არის, უფრო მწუთხე და კბენია, ვიდრე ვიზების შეზღუდვა.

აკი გაგვაფრთხილა ამას წინათ მისტერ ენტონი ბლინკენმა, აშშ ყველანაირ რესურსს ფლობს ზემოქმედებისათვის, რომელსაც საჭირო დროს და საჭირო მიმართულებით აამოქმედებსო. აბა, რა გეგონათ, ძმებო ქართველებო!

რა გასაკვირია, რომ ამერიკულმა შემოლაწუნებამ შეაშფოთა ქართული ბიზნესწრეები. როგორც საბანკო ასოციაციაში განაცხადეს, ქართული ბანკები გადაწყვეტილებას საერთაშორისო ბანკების შესაბამისად მიიღებენ, მთავრობამ, ეს მათი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა, ბეწვის ხიდზე უნდა გაგვატაროს, ყველაფერი გააკეთოს, რათა სანქციები არ გაღრმავდესო.

ამრიგად, შეცდომის თუ დანაშაულისთვის ამიერიდან ამერიკული როზგები მზად არის, ჩვენებური ასე მტკივნეულად არ ურტყამს და იმიტომ!

ისე, წარმოიდგინეთ, რა შრომის ფასად იკვეთება ყოველი სანქცირებული: მშობლიურმა აქტივისტებმა დაუღალავი თვალთვალ-დაკვირვების შედეგად უნდა გამოავლინონ და შეარჩიონ კანდიდატები, დაწერონ რეკომენდაციები და ოკეანის გაღმა გააგზავნონ. იქაც განიხილავენ და ისე გადაწყვეტენ, ვის გაუმწარონ სიცოცხლე.

ერთი სიტყვით, არ არის იოლი საქმე. ახლა მახსენდება, როგორ დაგმეს ალტ-ინფოს ქმედება ჟურნალისტთა წინააღმდეგ. ეს იყო საყოველთაო, ყოველმხრივი, დაუსრულებელი შეტევა ამ ჯგუფის მიმართ. განსაკუთრებით ცხონებულ ოპერატორ ლ. ლ-ს გარდაცვალება იქცა პროგრამის ლოკომოტივად. ეს კაცი მართლაც უღვთოდ გაილახა, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ნარკოტიკის მიღების გამო გარდაიცვალა. მაგრამ ოპოზიციურმა ჟურნალისტიკამ არ მიიღო ეს სიმაართლე და დაიჟინა, გინდა თუ არა, ცემით მოკლეს ალტინფოელებმაო. შეიძლება ეს ზღვაში წვეთია ამ სანქციაში, მაგრამ ზღვა ხომ წვეთებისგან შედგება!

**ხმაური მესამე.** გორში „ქართული ოცნების“ რეგიონულ შეკრებაზე, რომელიც საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გაიმართა, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა: „26 ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ დავალების შესაბამისად, მოღალატე ნაციონალურმა მოძრაობამ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები. აგვისტოს ომი არ ყოფილა არც ქართველი და არც ოსი ხალხის სურვილი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ შესარიგებლად!“

ამას დიდი გამოხმაურება, გამოხმაურება კი არა, მთელი ღრიანცელი მოჰყვა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ე. კოკოითმა და კოკოითისტმა ოსებმა დრო იხელთეს და კომპენსაციის და დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნა წამოაყენეს. ოპოზიციამ ბიძინას სიტყვები ღალატად ჩათვალა. დადებითი გამოხმაურება იყო მოსკოვიდან: საქართველო შემაშფოთებლად სათანადოდ იქცევა. ივანიშვილის განცხადება ისტორიულია და მას თბილისისა და მოსკოვის ურთიერთობები ახალ დონეზე გადაჰყავსო.

**როგორც ვთქვით, ოპოზიციამ ბიძინას სიტყვები ღალატად მიიჩნია, თანაც უცნაური ინტერპრეტაციით, ბიძინა ივანიშვილმა რუსებთან ბოდიშის მოხდა მოითხოვაო. სად ითქვა რუსები? არ თქმულა, მაგრამ ასე უნდათ, ოსები რუსებით ჩაანაცვლეს! და ატყდა მეორედ მოსვლა. ყველამ, ვისაც სჭირდებოდა, უმალ იშიშვლა პატრიოტიზმის ხანჯალი. ზოგმა ამ ხანჯლის კაშკაში ქვეყნას დაანახა...**

ალექსანდრე ელისაშვილმა პირდაპირ დიდოსტატურად ისარგებლა მომენტით. ამ კაცმა, მას შემდეგ, რაც ტურასავით მიეპარა ტრიბუნაზე მდგარ უმრავლესობის ლიდერს მამუკა მდინარაძეს და დაარტყა, ფეხი ამოიკვეთა პარლამენტიდან. ელისაშვილი ფაქტობრივად მას შემდეგ აღსდგა მკვდრეთით, რაც წინასაარჩევნოდ „ლელოს“ შეუერთდა თავისი „მოქალაქით“ და ტელეეკრანებიდან არ ჩამოდის მამუკა ხაზარაძის გვერდს მიწებებული. და, აი, ალექსანდრემ, რომელმაც დაიბრუნა ძველი რიხი და ლექსიკა, იმ დღეს, როცა „ბიძინას ღალატი“ გახმიანდა, ტელეეკრანზე მუშტები შეკრა და კბილებში გამოსცრა, როცა არჩევნებში გავიმარჯვებთ, დედას ვუტირებთ მაგათო. ამ „მაგათში“ ვინ იგულისხმა – „ოცნება“, რუსები თუ ოსები, თუ სამივე ერთად, ძნელი გასარკვევია, მთავარი კი ის არის, რომ ელისაშვილი არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გეგმავს თანამდებობის მიღებას, რომლის „ხაზეინად“ მყოფს შესაძლებლობა ექნება დედა უტიროს ვისაც გაეხარდება – „ოცნებას“, რუსს, დაოსს ხომ მით უფრო!

## ფრთხილად, ელისაშვილის და ელისაშვილების დრო მოდის!

ფრთხილად, „კოალიცია ცვლილებებისთვის“ მოდის, სწორედ ის, რომელმაც გააჟღერა ინიციატივა, რომ ყველა არჩეული პარლამენტის წევრი საჯაროდ და მკაფიოდ დადებს პირობას, რომ არ ითანამშრომლებს ბიძინა ივანიშვილთან და „ქართულ ოცნებასთან“ მთავრობის ფორმირებაში. თავად კოალიციის ლიდერებმა (ნიკა მელია, ნიკა გვარამია, ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია), რომლებიც „გრძნობენ პასუხისმგებლობას, რომ აღასრულონ ხალხის სურვილი“ (იგულისხმება „ხელისუფლების ცვლილების ძლიერი სურვილი“), ეს პირობა ხელმოწერით დაადასტურეს.

თუმცა, რა უნდა გაგიკვირდეს, დგას ნაცი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი და „ამტკიცებს“, „ოცნებას“ ურჩევნია საქართველოში ომი მოხდეს, ოღონდ ხელისუფლება შეინარჩუნოსო. ჯერ მოგონება და მერე დაბრალება არ გინდა?! არადა, ეს კაცი არც ნორჩია, რომ ვითარება არ გაეგებოდეს და არც უბირი ვინმე, წარმატებული ბიზნესმენი გახლავთ.

**მოდი და ნუ იტყვი, ვაი, თქვენს პატრონს უბედურსო!**

**ერთის თქმაც შეიძლება სინანულით: მოდი და იცხოვრე ასეთ ქვეყანაში!**



**ალეკო ასლანიშვილი**

# ბიძინა ივანიშვილის „ბოდიში“ და... ქართულ-რუსული ურთიერთობები

**ბიძინა ივანიშვილის მიერ გორში, წინასაარჩევნო გამოსვლისას წარმოთქმული სიტყვის მხოლოდ ერთმა წინადადებამ დიდი ვნებათაღელვა და კამათი გამოიწვია საქართველოში:**

> **„26 ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე, როდესაც ომის გამჩაღებლები გასამართლდებიან, როდესაც უკლებლივ ყველა დამნაშავე ქართულ-ოსური ძმობისა და თანაცხოვრების დანგრევისთვის უმკაცრეს სამართლებრივ პასუხს მიიღებს, ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ დავალების შესაბამისად, მოღალატე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები. და რადგან ჩვენი, ქართველებისა და ოსების ქრისტიანული რწმენის ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი სწორედ შენდობაა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მტრების მიერ ჩვენი ხალხებისათვის თავსმოხვეული ძმათამკვლელი დაპირისპირება სწორედ რომ ისტორიული ურთიერთპატიებით და გულწრფელი შერიგებით დასრულდება“...**

ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერობაში ვერავინ დამდებს ბრალს, არც ვაკეთებ სერიოზულ კომენტარებს წინასაარჩევნო ხმაურზე, მაგრამ საქმე გვაქვს ფრიად არაორდინარულ ვითარებასთან. „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ სრულიად მოულოდნელი განცხადება გააკეთა.

ჯერ დავაზუსტოთ, რა ითქვა და რა არ ითქვა. ივანიშვილი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს იმას, რის თქმასაც თავიდან, 2008 წლის ომის შემდეგ, ვერც თავგადაკლული „ანტიმიშისტები“ ბედავდნენ და ვერც ხელისუფლების ცვლილების შემდგომი „მეოცნებეები“. ეს ტაბუდადებული სიმართლე იყო ის, რომ ომი დაიწყო სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა (და არა რუსეთმა!). თანაც, როგორც ივანიშვილი აზუსტებს, „ნაცმოძრაობამ“ ომი დაიწყო არა თავისით, არამედ „დავალების შესაბამისად“ (!). ივანიშვილი არ ამბობს, რომ ბოდიში მოსახდელია ოსების დე ფაქტო ხელისუფლების მიმართ, არამედ იმ მშვიდობიან ხალხზეა საუბარი, ვინც (საქართველოს) „მოღალატე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გახვია ცეცხლის ალში“.

თუმცა ვნებათაღელვა სიტყვა „ბოდიშმა“ გამოიწვია. ოპოზიციური პარტიები, უცხოეთიდან დაფინანსებული მასმედია, არასამთავრობო ორგანიზაციები ივანიშვილს პირდაპირ ღალატში სდებენ ბრალს ამ ბოდიშის შესაძლებლობის ხსენების გამო.

**პირველი კითხვა: რამდენად ჯდება ივანიშვილის ეს ფრაზა წინასაარჩევნო რიტორიკაში?**

**პასუხი ერთია — არანაირად!**

სხვის მიმართ „ბოდიში“ არ არის ის თემა, რომელიც ემოციურ საარჩევნო კამპანიაში წაადგება იმ პარტიას და იმ ლიდერს, რომელიც აქცენტს სუვერენიტეტზე, პატრიოტიზმსა და ლამის ნაციონალიზმზე აკეთებს. რაც არ უნდა „ძმები და დები“ იყვნენ ოსები, ისინი დღეს პირობითი ბარიკადების მეორე მხარეს დგანან.

გასათვალისწინებელია ქართული მენტალობა, როგორც კავკასიური მენტალობის შემადგენელი ნაწილი. ჭარბი სიამაყის გრძნობით განმსჭვალული ქართველობა ასე უეცრად ვერ მიიღებდა ბოდიშის თემას და არც მიიღო — ეს ჩანს ყველა ბლიც-გამოკითხვით, რომელიც ქუჩებში ჩატარდა და სატელევიზიო კამერებით დაფიქსირდა. რესპონდენტთა უდიდესი უმრავლესობა კატეგორიულად უარყოფს „ბოდიშის“ აუცილებლობას. აშკარაა, რომ თვით კითხვის ასეთი დასმაც კი აღიზიანებს მოქალაქეთა უმეტესობას.

ნუთუ უნდა დავიჯეროთ, რომ ბიძინა ივანიშვილს და მის საარჩევნო შტაბს ეგონათ, რომ ეს თემა ამომრჩევლების მობილიზებას მოახდენდა „ქართული ოცნების“ გარშემო და უკუეფექტს არ გამოიწვევდა? თუ ასე ეგონათ, ძალიან შემცდარან. შემცდარან იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში, „ნაციონალების“ ხელისუფლების დასასრულის შემდეგ, მასმედიაში ისეთივე ანტირუსული პროპაგანდა გრძელდებოდა, როგორც უწინ. მთელი ათწლეულის მანძილზე, ყველაზე დიდი და მდიდარი „გადმოქოცებული“ ტელევიზიები დღე და ღამე ტვინებს ურეცხავდნენ ჩვენს საზოგადოებას „რუსულ აგრესიასა“ და „რუსულ ოკუპაციაზე“. ეს ტერმინები ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ქართველობას. არაფერი არ გაკეთებულა სიმართლის პროპაგანდისთვის. ის,




რომ ომი სააკაშვილმა დაიწყო, ერთმნიშვნელოვნად უნდა თქმულიყო ჯერ კიდევ 2012 წელს. ახლა, შესაძლოა, გვიანი იყოს. გვიანია მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებულმა თითოეულმა ქართველმა იცის სიმართლე (თუ არ იცის, მიახლოებით მაინც ხვდება) — ომი დიახაც რომ სააკაშვილის რეჟიმმა დაიწყო. ამას არც ჰაიდი ტალიავინის დასკვნა სჭირდება და არც სხვა გადამთიელის. ყველამ ყველაფერი ნახა 2008 წლის 7-8 აგვისტოს. მაგრამ, საჯაროდ, კოლექტიურ დონეზე, სიამაყისა თუ ამპარტავნების გამო, მაგრამ ძირითადად, პროპაგანდის შედეგად, ქართველი ამას არ აღიარებს. იგი მიჩვეულია, რომ საჯაროდ მან რუსეთი უნდა ლანძღოს, რუსეთს უნდა დააბრალოს თავისი გასაჭირი და ქვეყნის გასაჭირიც.

ასეთ პოზიციაზეა უმრავლესობა, სააკაშვილის მოძულეთა ჩათვლით. „ქართული ოცნების“ ცალკეული წევრების გამოქომაგება ივანიშვილის ნათქვამის მიმართ კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას და ხელს არ უწყობს ჯანსაღ დისკუსიას, რომელიც სწორედაც რომ საჭიროა ჩვენი ისტორიის ამ საშინელ დღეებზე.

საინტერესოა, რომ „ბოდიშის“ საკითხი მოუმზადებელია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ოსებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა და მათშიც ნაკლები ენთუზიაზმი გამოიწვია. **სეპარატისტულმა ხელისუფლებამ არანაკლები სისულელეები აფრქვია, ვიდრე ქართულმა ლიბერალურმა ოპოზიციამ. ივანიშვილის განცხადება განცხადებად არ უნდა დარჩესო, უნდა მოხდეს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებაო — ამბობენ ისინი. ზოგიერთები თრუსოს ხეობის ოსეთისთვის „დაბრუნებასაც“ ითხოვენ.**

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: საკითხი მოუმზადებელია საჯარო სივრცისთვის და შედეგიც შესაბამისად ნეგატიურია. ამიტომ ვიყავი ყოველთვის იმის მომხრე, რომ გამართულიყო საჯარო ღონისძიებები ქართულ-რუსული დიალოგის თვალსაზრისით, რაც ამოსავალი წერტილი იქნებოდა ქართულ-ოსური თუ ქართულ-აფხაზური დიალოგის დაწყებისთვისაც. მაგრამ პირიქით, არც ყოფილა ამის მცდელობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, უფრო უარესიც — ხელი გვეშლებოდა ჩვენ, არამედასავლეთე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (კონკრეტულად, ჩემს მიერ დაფუძნებულ „ევრაზიის ინსტიტუტს“), მსგავსი ღონისძიებების ჩასატარებლად. ამგვარი ხელის შეშლის მაგალითებიდან, შეიძლება, დასახელდეს ჩვენს მიერ მოწვეული რუსი სპეციალისტების საქართველოში არშემოშვება, მოსკოვის კულუარებში ჩვენს წინააღმდეგ ხმების დაყრა, ჭორის დაყრა, პრემიერის სპეცწარმომადგენლის მხრიდან ჩვენს ღონისძიებებში მონაწილეობისგან თავის არიდება, 2022 წლის ჩვენი ანტიბანდერული მიტინგის საპოლიციო ძალით დაბრკოლება, ხოლო ნაცვლად რეალური სახალხო დიპლომატიისა, ლიბერალური რუსული „გორჩაკოვის ფონდისთვის“ ასპარეზის დათმობა, რომელმაც ქართულ-რუსული საზოგადოებრივი დიალოგის იმიტაცია გაათამაშა (თუმცა სინამდვილეში, ეს დიალოგი ჩანასახშივე ჩაახშო).

**ახლა კი ისმის მეორე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი კითხვა: რა მოტივით განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნო გამოსვლის ფარგლებში ის, რაც განაცხადა?**

**პასუხი: არ ვიცი, ვარაუდების გამოთქმას კი თავს ავარიდებ.**

ნებისმიერ შემთხვევაში, ივანიშვილს არ დავუკარგავ, რომ მისი განცხადება ეწინააღმდეგება საარჩევნო კონიუნქტურას, სამაგიეროდ, სახელმწიფოებრივად გამართლებულია, სამომავლოდ კი, კარგი შედეგის მომტანიც შეიძლება გახდეს. შესაბამისად, მისი ეს განცხადება მისასალმებელია!

ამას ვამბობ იმისდა მიუხედავად, რომ თავად მე არ მივიჩნევ ნაადრევ ბოდიშს (თუნდაც სააკაშვილის რეჟიმის ჰიპოთეტური გასამართლების შემდეგ, მაინც ნაადრევი იქნება) საჭიროდ. ამას ქვემოთ დავასაბუთებ. თუმცა პარადოქსი და წინააღმდეგობა არ არის ჩემს ფორმულაში: ბოდიშის მოხდას მხარს არ ვუჭერ, მაგრამ ბოდიშის მოხდის შესაძლებლობის გაჟღერებას ივანიშვილის მხრიდან, თანაც გაგანია არჩევნების დროს, ვიწონებ! ეს ორი სხვადასხვა კატეგორიაა. ბოდიში, ივანიშვილისვე სიტყვებით, დღეს არ ხდება, იგი მომავალში უნდა მოხდეს. დღეს კი დაგვრჩა ის, რომ ქართველმა საზოგადოებამ კარგი „შემოლაწუნება“ მიიღო — გამოსაფხიზლებლად გამოდგება! დაე, ეს იყოს პირველი ნაბიჯი სიმართლის გზაზე! სიმართლე კი საქართველოს მუდმივ ინტერესშია — თუკი ჩვენ მართალი ხალხი ვართ, ეს ასე უნდა იყოს!

* * *

**ახლა კი მომავლის თემაზე და იმაზეც, თუ რას მივიჩნევ სწორად.**

პირველ ყოვლისა, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ აფხაზეთისა და შიდა ქართლის (სამხრეთ ოსეთის) პრობლემები. ეს მეთოდოლოგიურადაც და ქართული პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეც, სწორი იქნება. აქამდე საკითხი ასე არასოდეს დასმულა, ვინაიდან სააკაშვილმა თავს მოგვახვია „ოკუპაციის“ თემა და ანალიტიკური მიდგომები დათრგუნა. ეს სწორედ იმ „დავალების შესაბამისად“ მოხდა, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ახსენა და უთუოდ დასავლეთს გულისხმობდა.

სხვათა შორის, ერთმა რუსმა არაკეთილმოსურნე, უფრო სწორად, აფხაზებთან დაახლოებულმა ჟურნალისტმა დაწერა: ივანიშვილის განცხადება არაგულწრფელია, ის უფრო ჰგავს მცდელობას, „ორ მოძმე რესპუბლიკას“ შორის, ანუ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის, შუღლი ჩამოაგდოსო. საბედნიეროდ, ამას მეორეხარისხოვანი ჟურნალისტი წერს ასევე მეორეხარისხოვანი გამოცემისათვის, მაგრამ შეიძლება, იგი მართალიც იყოს.

მაშ ასე, აფხაზეთის და ოსეთის საკითხების განცალკევების აუცილებლობის არგუმენტაცია: აფხაზების სახით, საქმე გვაქვს დამოუკიდებლობის მსურველ, ეთნიკური კატეგორიების აზროვნების ხალხთან, რომელიც თავად აბრკოლებს საკუთარ განვითარებას და, ფაქტობრივად, წარსულშია ჩარჩენილი. აფხაზებისგან განსხვავებით, ოსები ბევრად უფრო პრაგმატული ხალხია. ეს პრაგმატიზმი ჩვენს სასარგებლოდ იმუშავებს, თუკი მას მივაქცევთ ყურადღებას. აფხაზი თითქმის ყველაფერში „დამოუკიდებლობის დაკარგვას“ ხედავს, დაკომპლექსებულია თავისი უკიდურესი მცირერიცხოვნობით და უარს ამბობს თვით რუსეთის მიერ შემოთავაზებულ ხელსაყრელ ეკონომიკურ პროექტებზე, რომლებიც აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობდა ხელს.

ოსებში ნაკლებად შეიმჩნევა ეთნიკური იდენტობის დაკარგვისა და გადაშენების შიშები. თანაც, ისინი რუსეთის მიმართ ასი პროცენტით არიან ლოიალურნი. თუკი ცხინვალელ ოსებს ექნებათ საქართველოსთან ურთიერთობების განვითარების ეკონომიკური და ფინანსური დაინტერესება და თან, ამავე დროს, ასეთ ურთიერთობებს მხარს დაუჭერს მოსკოვი, ისინი ამ ურთიერთობებზე წამოვლენ. სეპარატისტული ბიუროკრატია უფრო რბილი და დამთმობი გახდება როგორც რუსეთის, ისე საკუთარი, საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობებით დაინტერესებული ხალხის ზეგავლენით. აფხაზებთან ასეთი რამ უფრო ძნელად მისაღწევია ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების გამო. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის სისხლიანი ომი ოსებთან გვქონდა და არა აფხაზებთან, ოსები უფრო მალე შემობრუნდებიან ჩვენსკენ, ვიდრე აფხაზები.

უკვე რამდენი წელია, ლარსის გამშვები პუნქტი საქართველო-რუსეთის საზღვარზე თითქმის მთელი წლის მანძილზე უკიდურესად არის გადატვირთული. სატვირთო თუ სამგზავრო მანქანები უზარმაზარ რიგებში დგანან ორივე მიმართულებით. მალე დასრულდება ქვეშეთი-კობის შემოვლითი გზა, რომელიც დააჩქარებს მოძრაობას, მაგრამ დარიალის ხეობასა და ლარსის გამშვებ პუნქტს პრობლემას მაინც არ მოუხსნის. ყველაზე ლოგიკურია როკის გვირაბის გახსნა და სატვირთო მანქანების ცხინვალის გზით მოძრაობა. ეს განტვირთავს დარიალის ხეობას და მის ეკოლოგიას იხსნის, სამაგიეროდ, გახდება ქართულ-ოსური თანამშრომლობის საფუძველი, საერთო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. პერსპექტივა იხსნება რკინიგზის მშენებლობისთვისაც, რომლის შედეგად რუსეთი მიუერთდება საქართველოს სარკინიგზო სისტემას და თურქეთს დაუკავშირდება ყარსის მიმართულებით. საქართველოს შეუმცირდება აზერბაიჯანზე დამოკიდებულება — დღეს რუსეთიდან სარკინიგზო ტვირთები მხოლოდ აზერბაიჯანის რკინიგზის გავლით შემოდის, რადგან ჯიუტი აფხაზები არც კი განიხილავენ საქართველოსთან რკინიგზის აღდგენის შესაძლებლობას, თანაც, აფხაზური რკინიგზა, გარემონტების და განახლების შემთხვევაშიც კი, არ იქნება მაღალი გამტარუნარიანობისა.

> **აი, ეს პრაგმატიზმი უნდა გახდეს ქართულ-ოსური თანამშრომლობისა და შემდგომი დაახლოების, ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცის აღდგენის საფუძველი. ამას არ დასჭირდება ბოდიშები, ამას სჭირდება რუსეთთან პრინციპული, პატიოსანი და ღია დიალოგი — უკვე დღეს და ახლა. ბოდიშის მოხდას შემდგომშიც მოვასწრებთ და ზოგიერთები აქეთაც მოგვიხდიან ბოდიშს. მთავარია, დროულად დალაგდეს ქართულ-რუსული ურთიერთობები.**



**გულბაათ რცხილაძე,**
**პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ა.ი.პ. ევრაზიის ინსტიტუტის დამფუძნებელი (2009 წლიდან)**

ავტორის სტილი დაცულია

# არჩევნების წინ ვიზალიბერალიზაციის გაუქმებას არავინ დაიწყებს...

**ქართველი ხალხის შანტაჟის მცდელობა ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მუქარით, რათა მოიყვანონ ისეთი ხელისუფლება, რომელიც გარე მმართველობას თავიდან ბოლომდე დაემორჩილება — ასეთია მმართველი გუნდის პოზიცია ევროკავშირის ელჩის პაველ ჰერჩინსკის განცხადებზე. ელჩი ამბობს, რომ საქართველოში ვითარების გაუარესების შემთხვევაში, უვიზო რეჟიმის დროებით შეჩერება ერთ-ერთი ინსტრუმენტი იქნება.**



პაველ ჰერჩინსკი იმედოვნებს, რომ საქართველოში 26 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებული ხელისუფლება, ვინც არ უნდა იყოს ის, გააგრძელებს რეფორმებს, რომლებიც ესაჭიროება საქართველოს ევროპულ გზაზე წინსვლისთვის. დიპლომატი „სამართლიანი არჩევნების" ოფისში იმყოფებოდა.

„ევროკავშირმა უმაღლეს დონეზე, კერძოდ პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების დონეზე გამოთქვა ღრმა შეშფოთება საქართველოში მიმდინარე მოვლენების ტრაექტორიის გამო. ვწუხვართ, რომ ევროკავშირთან დასაახლოებელი რეფორმების ნაცვლად, სამწუხაროდ, ბოლო თვეებში გვაქვს იმგვარი განვითარებები, რომლებიც ზრდის დისტანციას ევროკავშირსა და საქართველოს შორის. ჩვენ ეს საკითხი წევრ ქვეყნებთან ერთად შიდა დონეზე განვიხილეთ და ვთქვით, რომ ყველა ოფცია მაგიდაზეა, მათ შორის ვიზალიბერალიზაციის დროებითი შეჩერება – მოვლენებზე დაყრდნობით.

ვაკვირდებით მოვლენათა განვითარებას და გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ საარჩევნო კამპანია იქნება მშვიდობიანი, არ იქნება ძალადობა და არჩევნები იქნება თავისუფალი და სამართლიანი. ეს ჩვენთვის სასურველი განვითარებაა, თუმცა თუ ვითარება გაუარესდა, რა თქმა უნდა, ვართ პოზიციაზე, სადაც შეგვიძლია სხვა ინსტრუმენტები ავამოქმედოთ, მათ შორის ერთ-ერთია უვიზო რეჟიმის შეჩერება. ვფიქრობ, რაც 26 ოქტომბერს მოხდება, დემოკრატიის ზეიმი იქნება. ქართველ ხალხს ექნება საშუალება, აირჩიოს მათი და შემდეგი თაობების მომავალი".

* * *

**პარლამენტის** საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი აცხადებს, რომ „გარე დამკვეთების" მთავარი მიზანია ისეთი ხელისუფლების მოყვანა, რომელიც მათ „ბოლომდე დაემორჩილება".

„დღეს პრობლემა რაშია? სახელმწიფოს გარედან ვერ მართავენ. სახელმწიფოს მართავს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება. ამიტომ ახლა მთელი ამ სცენარის გათამაშებისა და ამ ილუზიის შექმნის მიზანია, რომ რამენაირად ხალხი მოატყუონ და დააშინონ, მოიყვანონ ისეთი ხელისუფლება, რომელიც გარე მმართველობას თავიდან ბოლომდე დაემორჩილება.

ეს გახარია-ხაზარაძის ეპოპეაც, თავის ზურაბიშვილიანად, ემსახურება სწორედ ამას – თითქოს „ნაციონალებთან" არასდროს კავშირი არ ჰქონიათ, არადა, ამჟამადაც ალიანსში არიან, ქაღალდზე გაფორმებულ ალიანსში არიან საკრებულოებში", – აცხადებს ირაკლი ქადაგიშვილი.

კონფიქტოლოგი და სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** for.ge-სთან საუბრობს იმ გარემოებებზე, რა შემთხვევაში და ვისზე დაყრდნობით ჩათვლის ევროკავშირი არჩევნებს გაყალბებულად. მისი თქმით, ეუთო/ოდირის დასკვნა იქნება ევროკავშირისთვის გადამწყვეტი და ასევე იმ საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, რომლებიც საქართველოში არჩევნებზე დასაკვირვებლად არიან ჩამოსულები.



„რა თქმა უნდა, არჩევნების მეორე დღეს არ იქნება საუბარი მტკიცებულებების გარეშე, რომ არჩევნები გაყალბდა. დიდი მნიშვნელობა ექნება იმ სადამკვირვებლო ორგანიზაციების დასკვნას, რომელიც ორი კვირის მერე გამოქვეყნდება. თუ ამ დასკვნაში ჩაიწერა, რომ არჩევნების შედეგები ქართველი ხალხის ნებას აშკარად არ გამოხატავს და უამრავი ფაქტები დარღვევებზე ექნებათ, მაშინ უკვე ევროკავშირისგან იქნება ის რეაგირება, რაზეც ევროკავშირის ელჩმა ისაუბრა. რა თქმა უნდა, ვიზალიბერალიზაციის გაუქმებას არჩევნების წინ არავინ დაიწყებს და ვიცით, ეს პროცესიც სწორედ ამიტომ გადაიდო. მანამდე იყო საუბარი 9 თვით დროებით შეჩერებაზე, მაგრამ ევროკავშირში მივიდნენ იმ კონსესუსამდე, რომ ასეთი რამ არჩევნებამდე შესაძლოა ანტიდასავლური რიტორიკისთვის ყოფილიყო გამოყენებული და ხალხის აზრის ფორმირებას შეეცდებოდნენ. ამიტომ გადაიდო ეს პროცესი და ახლა ყველა მოვლენების განვითარებას ელის. ევროკავშირს სურს ქართველი ხალხის ნებაზე გავლენა არ მოხდინოს", - ამბობს ზაქარეიშვილი.

რაც შეეხება ხელისუფლების პოზიციას, რომ ელექტრონული არჩევნების გაყალბების მტკიცებულება არ იქნება, რადგან მსაგვსი რამ გამორიცხულია, ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ელექტორნული არჩევნები ნამდვილად იქნება სხვადასხვა ტიპის გაყალბების თავიდან არიდების კარგი საშუალება. თუმცა არსებობს გაყალბების სახე, რომელიც ელექტრონული არჩევნების პირობებშიც შესაძლებელია.

„ელექტრონული სისტემა ურნაში გაყალბებას გამორიცხავს. თავიდან ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა ნამდვილად არიდებული იქნება. ასევე გამოირიცხება, დათვლის მომენტში გარკვეული სახის მანიპულაციები. იქნება ეს ბიულეტენის გაფუჭება თუ ა.შ. ასევე სახელოში რაღაცის ჩადება და გადმოგდება; სინათლის გათიშვა და მერე უცბად ახალი რეალობის შექმნა. გამოირიცხება საარჩევნო ყუთის მოპარვა, ადგილობრივი კომისიის წევრების უცბად დაკარგვა და ა.შ. თუმცა არსებობს კარუსელების დატრიალების საფრთხეები, როცა ერთ ადამიანზე რამდენიმე ყალბი პირადობის მოწმობაა გამოწერილი. ასევე ემიგრანტების მაგივრად ხმის მიცემა და ა.შ. ამ ყველაფერს დამკვირვებლები დააკვირდებიან და სწორედ ეს რისკებია, რომელსაც ელექტრონული არჩევნები ვერ აღმოფხვრის", – ამბობს ზაქარეიშვილი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# გიორგი გახარია: მე ეს მოლაპარაკებები უფრო ადრე უნდა დამესრულებინა!..



**პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ამ მოლაპარაკებების პროცესის არჩევნებამდე ასე ახლოს და მოუმზადებლად, ცესკოში სიების წარდგენამდე 1 კვირით ადრე დაწყება იყო შეცდომა, თუმცა, ჩვენი მხრიდან პრეზიდენტის ამ შემოთავაზებაზე უარის თქმა, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი.**

მე ეს მოლაპარაკებები უფრო ადრე უნდა დამესრულებინა, მაშინვე, როგორც კი ვერ მოხერხდა ნეიტრალურ პლატფორმაზე შეთანხმება. — ამის შესახებ გიორგი გახარიამ ბრიფინგზე განაცხადა.

„ჩემი მხრიდან, ნეიტრალური პოლიტიკური პლატფორმის საკითხის დათმობამ, მეორე მხარის სიხარბე წაახალისა, რამაც პროცესი საბოლოოდ შეიყვანა ჩიხში.

დაწყებულმა შავმა პიარმა, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მიზანი გახდა არა სამართლიანი შეთანხმების მიღწევა, არამედ ის, თუ ვის დაბრალდებოდა შეთანხმების ჩაშლა.

დიახ, წერტილი დავსვი! მე!!! წერტილი დავსვი იმიტომ, რომ მიზანი გადამერჩინა — ჩვენი ორი გუნდის სამომავლო შესაძლო სამართლიანი, ეფექტური თანამშრომლობის პერსპექტივა, როგორც მთავარი ინსტრუმენტი ქვეყანაში პოლარიზაციისა და ორპოლუსიანობის დაძლევის.

წერტილი დავსვი იმიტომ, რომ მოლაპარაკებების დაწყების მიზანი შევიდა ჩიხში. სამწუხაროდ, თავდაპირველი მიზანი დაიკარგა სიხარბეში, ვიღაცისთვის მთავარი მიზანი გახდა მოლაპარაკებების ჩაშლის მეორე მხარისთვის დაბრალება, სხვებისთვის კი ნებისმიერ ფასად ნებისმიერ ფურცელზე ხელის მოწერა.

ჩვენ აქამდე არ გვისაუბრია საჯაროდ მოლაპარაკებების საკითხებზე, გავუფრთხილდით როგორც თავდაპირველ მიზანს, რომელიც ჩვენთვის ძლიან მნიშვნელოვანია დღესაც. ისე, მეორე მხარეს, რომელთანაც მომავალში პოზიტიურ თანამშრომლობას, რა თქმა უნდა, ისევ ვაპირებთ.

ახლაც, ვსაუბრობთ მოლაპარაკების მხოლოდ იმ პრინციპებზე, რაც, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებს საზოგადოების სამართლიან ინტერესს და, მეორე მხრივ, შეინარჩუნებს ჩვენი მომავალში თანამშრომლობის რესურსს.

რას არ დათანხმდა ხაზარაძე: ნეიტრალურ პლატფორმას — თქვა, რომ მას ბევრი მილიონი აქვს ჩადებული „ლელოში", ამიტომ ნეიტრალური პლატფორმა ამის და დროის სიმცირის გამო, არის შეუძლებელი.

გადაწყვეტილების მიღების სამართლიან პარიტეტულ პრინციპს! — ითქვა, რომ იქ კოალიციაა და ბევრი სუბიექტია , ამ სუბიექტებს შორის ურთიერთობა მაშინაც და დღესაც არის გაურკვეველი.

კოალიციის დაუშვებლობის პრინციპს როგორც „ქართულ ოცნებასთან", ისე ნაციონალურ მოძრაობასთან.

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვაყენებდით პარტიულ ინტერესებზე მაღლა, ჩვენ უარი ვთქვით ყველაფერზე - პარტიაზე და პარტიულ ნომერზეც, რამაც საპასუხო კომპრომისის ნაცვლად კიდევ უფრო მეტი მადა აღუძრა მეორე მხარეს და პროცესი საბოლოოდ და სრულად აცილა თავდაპირველ მიზანს.

ამიტომ, ჩვენ ვუბრუნდებით თავდაპირველი მიზნისთვის აუცილებელ პირობებს და საჯაროდ ვაცხადებთ ჩვენს მზაობას შემდეგი საკითხებით:

**ნეიტრალური პოლიტიკური პლატფორმა და ვთვლით, რომ ეს არის უსაფრთხო და სამართლიანი ყველასთვის.**

**გადაწყვეტილების მიღების სამართლიანი პარიტეტული პრინციპი.**

**კოალიციის დაუშვებლობის პრინციპი როგორც „ქართულ ოცნებასთან", ისე ნაციონალურ მოძრაობასთან.**

**მე მადლობას ვუხდი საქართველოს პრეზიდენტს და მამუკა ხაზარაძეს. ეს პროცესი თავად იყო პოზიტიური, რამაც გააძლიერა შესაძლებლობა ჩვენი მომავალში თანამშრომლობისა!**

**მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამჟამინდელმა პროცესმა იმედგაცრუება არ გამოიწვიოს.**

**ამ მოლაპარაკებების თავდაპირველ მიზანს, რაც ნიშნავს ქვეყანაში ევროპული მომავლის დაცვას და პოლარიზაციის დასრულებას, ჩვენ ყველა ერთად, ყველა შემთხვევაში და ყველაფრის მიუხედავად, აუცილებლად მივაღწევთ! — განაცხადა გიორგი გახარიამ.**



## „თბილსერვის ჯგუფის" 100 თანამშრომელი დაჯილდოვდა

**შპს „თბილსერვის ჯგუფის" დაარსების დღესთან დაკავშირებით, კომპანიის 100 თანამშრომელს მადლობის სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცა. „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორმა დავით ფაჩულიამ თანამშრომლები მოადგილეებთან ერთად დააჯილდოვა. დავით ფაჩულიამ ახალი სპეცტექნიკაც დაათვალიერა.**

„დღეს ჩვენი კომპანიის დაარსების დღეა. 17 წელია, რაც „თბილსერვის ჯგუფის" თანამშრომლები დღე-ღამის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებიან დედაქალაქს. თითოეულ თანამშრომელს ვულოცავ ამ მნიშვნელოვან დღეს. ჩვენს მუნიციპალურ კომპანიაში დასუფთავების, გარე განათების, სანიაღვრე ქსელების, საგზაო მონიშვნების, პოლიგონებისა და სხვა მიმართულებით ასობით ადამიანი მუშაობს, რომლებსაც ღამის განმავლობაშიც უწევთ სამუშაოს შესრულება, იმისათვის, რომ ქალაქი იყოს სუფთა და მოწესრიგებული. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა თანამშრომელს, მართლაც ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ ქალაქისთვის", — აღნიშნა დავით ფაჩულიამ.

კომპანიის ავტოპარკს კიდევ 11 ერთეული სპეცმანქანა შეემატა, რომელიც სხვადასხვა მუნიციპალური სერვისისთვის გამოიყენება.

## ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდს ლუკა ლოჩოშვილმა 30 000 ლარი აჩუქა




**ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდს საქართველოს საფეხბურთო ნაკრების წევრმა ლუკა ლოჩოშვილმა 30 000 ლარი აჩუქა.**

აღნიშნული საჩუქარი ფონდის ხელმძღვანელობას ლეგენდების მატჩის დაწყებამდე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ გადასცა.

# ირაკლი კობახიძე გაეროს გენერალური ასამბლეის 79-ე სესიაში მონაწილეობს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე 25 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 79-ე სესიაზე სიტყვით გამოვა.**

მთავრობის მეთაური ამერიკის შეერთებულ შტატებს 22-26 სექტემბერს სტუმრობს. ნიუ-იორკში ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი კობახიძე მონაწილეობას მიიღებს „მომავლის სამიტში“, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ოლაფ შოლცის და ნამიბიის პრეზიდენტ ნანგოლო მბუმბას ორგანიზებით იმართება.

დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა გაეროს გენერალურ მდივანთან ანტონიო გუტიერეშთან.

მთავრობის მეთაური ასევე დაესწრება ოფიციალურ მიღებას, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენისა და მისი მეუღლის ჯილ ბაიდენის სახელით გენერალური ასამბლეის 79-ე სესიის მონაწილე დელეგაციათა მეთაურების პატივსაცემად გაიმართება.



# ირაკლი კირცხალია: ვერც ერთი სანქცია ვერ შეაშინებს ბიძინა ივანიშვილს, ვერც მის გუნდს!

**არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს, არამედ მთელ მის გუნდს, ვინც ვართ გაერთიანებული მისი ლიდერობით, რასაც „ქართული ოცნება“ ჰქვია, შანტაჟით, სანქციების ენით ვეღარ გაგვესაუბრებიან, გამორიცხულია. ჩვენ ამით ვერ შეგვაცვლევინებენ იმ მშვიდობის პოლიტიკას და განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილს ვერ შეაცვლევინებენ იმ მშვიდობის პოლიტიკას, რითაც იმართება ჩვენი ქვეყანა და რითაც გავდივართ მართლაც ამ ქარცეცხლში, რაც მსოფლიოში და ირგვლივ, რეგიონში ხდება, — განაცხადა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი კირცხალიამ, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მიმართ სანქციების შესაძლო დაწესებაზე საუბრისას.**

— თუ მართლა მოხდა ეს ყველაფერი, კიდევ ერთხელ იქნება მესიჯი ქართველი საზოგადოებისათვის, ჩვენი საზოგადოებისთვის, რომელიც ჩვენი ამომრჩეველია და არა მხოლოდ, თუ როგორი პირდაპირი ჩარევა მიდის, როგორი პირდაპირი ზეწოლა მიდის ბატონ ბიძინაზე, მთლიან ჩვენს გუნდზე და პირდაპირ ქვეყანაზე და გამორიცხულია, ვერც ერთი სანქცია ვერ შეაშინებს ვერც ბატონ ბიძინას და ვერც ჩვენ — მისი გუნდის თითოეულ წევრს. ასე რომ, ძალიან არაეფექტურია სანქციების ენით საუბარი.ომის დაწყებიდან ერთ კვირაში, არაფორმალურად ბატონ ბიძინას უკვე დაუწესეს სანქციები და თვითონვე განაცხადა, რომ უკვე სამი წელია, იმყოფება არაფორმალური სანქციების ქვეშ. ახლა, ამ არაფორმალურ სანქციებს თუ გააფორმალურებენ, ამით რა შეიცვლება? როდესაც ადამიანთან პირდაპირ იყო მოთხოვნა, ყველანაირი ქმედებით — გამორიცხულია, რომ საქართველო რამენაირად ჩაერთოს საომარ მდგომარეობაში. ყველას კარგად გვახსოვს, ბატონმა ბიძინამ რუსთავში, ბოლო რეგიონულ შეკრებაზე განაცხადა მკაფიოდ და ნათლად, რომ ის თავის გუნდთან ერთად, არ დაუშვებს საქართველოში არეულობას და ბომბების წვიმას, რომელსაც ლომჯარია და გიგაური ნატრულობდნენ 2021 წელს, რუსთაველზე, პირდაპირი კადრები არსებობს ამ ყველაფერთან დაკავშირებით...

# მაია ბითაძე: პირდაპირი ღალატი



**„ვხედავთ არასამთავრობო სექტორისა და ჩვენი რადიკალების მოუთმენელ სურვილს, რომ საქართველოს მოსახლეობას ჩამოერთვას ის, რაც მოიპოვა „ქართულმა ოცნებამ“. ვიზალიბერალიზაციის ჩამორთმევის მოთხოვნა არის პირდაპირი ღალატი მათი სამშობლოსი, საქართველოს მოსახლეობის, რადგან ვიზალიბერალიზაცია მათ არ მოუპოვებიათ“, — განაცხადა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ მაია ბითაძემ.**

— სამწუხაროა, როდესაც უცხოურ ანგარიშში გვესმის, რომ ვიზალიბერალიზაციის შეჩერებაზე მოთხოვნა საქართველოს მოქალაქეების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან მოდის. რიტორიკა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მათი მხრიდან ხურდებოდა და აშკარად იკვეთებოდა, რომ მათ სწყინდათ ყველა ის წარმატება, რასაც „ქართულმა ოცნებამ“ მიაღწია ევროინტეგრაციის გზაზე. ჩვენ ისიც გვახსოვს, მათი კარდაკარ სიარული, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭებინათ და ახლა ითხოვენ ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას. ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის მტკივნეულია, როდესაც მესმის, რომ ამას, საქართველოს მოქალაქე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ითხოვს, რომელსაც არაფერი აქვს გაკეთებული გარდა იმ მავნებლობისა, რომელსაც ევროინტეგრაციის გზაზე „ქართული ოცნებისთვის“ ხელის შეშლა ჰქვია“...

# დავით ჩიხელიძე: არასამთავრობოები, რომლებმაც იციან, როგორ უნდა უღალატონ საკუთარ ქვეყანას და ხალხს!..

**„მოვითხოვ ქალბატონმა ლორა თორნტონმა გაასაჯაროოს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების სია, რომლებიც საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერებას მოითხოვს და ასაბუთებს, ქართველი ხალხი იმსახურებს, იცოდეს, ვინ არის მტერი და ვინ ატარებს არასახელმწიფოებრივ პოლიტიკას!** მაკკეინის ინსტიტუტის ანგარიშის მიხედვით მათ შეიმუშავეს 7 ქმედება, რომელიც დასავლეთმა საქართველოში ჩასატარებელ არჩევნებამდე უნდა განახორციელოს, როგორი პარადოქსია, დოკუმენტი ეფუძნება „საქართველოს მეგობრების“ მოხსენებას, რომლებიც მხარს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის გაუქმებას უჭერენ. არადა, რომ ჰკითხოთ საქართველოს მეგობრები ჰქვიათ!.. აქვე ერთი საინტერესო საკითხი, როგორც ქალბატონი ლორა თორნტონი აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ვიზალიბერალიზაციის შეჩერების საკითხი საკამათოა, რამდენიმე ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დამაჯერებლად დაანახა, აღნიშნული საკითხის საჭიროება და მართებულება.



**გუბაზ სანიკიძე გამახსენდა, რომელმაც განაცხადა, რომ ღალატსაც ცოდნა უნდა, ჩვენმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ნამდვილად იციან, როგორ უნდა უღალატონ საკუთარ ქვეყანას და ხალხს“** — წერს ჩიხელიძე.

# დიმიტრი ხუნდაძე: მდიდარი არასამთავრობოები უცხოელთა დაკვეთას ასრულებენ!



**მე ვფიქრობ ამაში სკანდალური არაფერია, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ მივეჩვიეთ უკვე მათი მხრიდან ასეთი დაკვეთების შესრულებას, რომელიც, პრაქტიკულად არის მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანი საქართველოსა და თავად საზოგადოებისთვის, — განაცხადა გადაცემა „დღის ქრონიკაში“ „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ მცხეთა — მთიანეთის დელეგატმა დიმიტრი ხუნდაძემ.**

მისივე თქმით, ეს, რა თქმა უნდა, არის საარჩევნო სარგებლის მიღების მცდელობა მტრობითა და ღალატით.

— ეს არის სწორედ ის არასამთავრობო სექტორი, ძირითადად, მდიდარი ნაწილი, რომელიც უპირობოდ ასრულებს დაკვეთებს. ეს არის, რა თქმა უნდა, ერთიანი კონტექსტის ნაწილი, სწორედ ის არასამთავრობო, რომელმაც შეასრულა დაკვეთა და გახსოვთ ალბათ, როდესაც ტექნიკური მთავრობის მოთხოვნით შეეცადა, რომ რევოლუციური მუხტი შემოეტანა და შეეცვალა ხელისუფლება. ხელისუფლება, რომელიც არ ექვემდებარებოდა გარე ერთპიროვნულ დაკვეთებს, რომელიც საზიანო იქნებოდა ქვეყნისა და საზოგადოებისთვის.

გახსოვთ ალბათ, როდესაც სანქციების მოთხოვნა იყო, იქაც მათი მხრიდან იყო ზეწოლა თავად საზოგადოებაზე და ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებზე, თავად დეპუტატებზე. არადა, ამ გადაწყვეტილებით არა რუსეთს, არამედ, თავად საკუთარ ეკონომიკას და ქართულ ეკონომიკას ჩამოვშლიდით და ასე ვთქვათ, მოდელირებული პროგნოზით ეს იქნებოდა მინუს 17, ქვეყნის ეკონომიკური პროგნოზი და არა ის, რომ ორნიშნა მატებაა დღეს საქართველოს ეკონომიკის.

ასეთ შემთხვევაში იქნებოდა ვითარება, რომ ჩვენ ვერ გავცემდით პენსიებს, ვერ დავაფინანსებდით ჯანდაცვის პროგრამებს, ვერ გავცემდით ხელფასებს, სოციალურად დაუცველთა შემწეობებს. რა თქმა უნდა, ეს გამოიწვევდა სოციალურ მღელვარებას, რომ შემდგარიყო რევოლუცია. თავად საზოგადოებას შეეცვალა საკუთარი ხელისუფლება, რომელიც იცავდა მათივე ინტერესებს. ასევე, გახსოვთ მებრძოლების გაგზავნას ითხოვდნენ, იარაღის უკრაინაში გაგზავნას. ამას არ სჭირდება დიდი სამხედრო ექსპერტობა და განსაკუთრებული ცოდნა, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთი თვალს არ გააყოლებდა მშვიდად საქართველოდან გაგზავნილ იარაღს და, რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა პირდაპირი სამხედრო აგრესია მათი მხრიდან და შედგებოდა ის დაკვეთა, რასაც ემსახურება სწორედ ეს არასამთავრობო სექტორი, რომ საქართველო ჩაერთვებოდა ომში“!..

# ისევ კონსტიტუციის უხეში დარღვევა!



## რამაზ საყვარელიძე: პრეზიდენტობის კანდიდატად სალომეს წამოყენება არაფრის გარანტია არ არის...



## პეტრე მამრაძე: „ფრანგები ჯერ კიდევ როდის იძახდნენ, ზურაბიშვილისნაირი ახირებული ქალი არ გვყავდა მთელ საგარეო უწყებაში“



**ქართული დიპლომატიის ისტორიას შემორჩა თამარისდროინდელი ორი მანდილოსნის — ხვაშაქ ცოქალისა და კრავაი ჯაყელის სახელები, რომლებიც იმდენად პატივსაცემი პიროვნებები იყვნენ, რომ თამარ მეფემ მეამბოხეებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა და მეამბოხეებმაც იარაღი უსიტყვოდ დაყარეს. ასეთი წარმატებული მომრიგებელი პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისგან არ გამოდის. ამის მიუხედავად, იგი ნულოვანი რეიტინგის პოლიტიკოსების შერიგებითაა დაკავებული და ქართლის დედის ფუნქციის საკუთარ თავზე აღებას ცდილობს.**

**პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი აცხადებს, რომ პრეზიდენტმა დაიწყო გარკვეული მოძრაობა და ურეიტინგო პოლიტიკოსების შემოკრება.**

**პრემიერ ირაკლი კობახიძის თქმით, პრეზიდენტი უნდა იყოს ზეპარტიული, ხოლო როდესაც პრეზიდენტი ერთვება საარჩევნო პროცესებში, როგორც მხარე, ეს არის კონსტიტუციის უხეში დარღვევა. თუმცა მას ვერავითარი გავლენა ვერ ექნება ქვეყანაში არჩევნების შედეგებზე.**

**რის დამტკიცებას ცდილობს პრეზიდენტი და გარეშე ძალებს რატომ უმტკიცებს, რომ საკუთარ ქვეყანაში წონა აქვს მის სიტყვას?**

**ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ თუკი პრეზიდენტის მიზანი უცხოელებისთვის თავმოწონებაა, ეს გასაგები იქნებოდა, რადგანაც ვადა ეწურება და ამ ვადის დასრულების შემდეგ რა მოხდება, ამის კონტურები უკვე უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს მოფიქრებული. არჩევნების შემდეგ შეიძლება მოხდეს ორი რამ, ან ისევ პრეზიდენტად მოევლინოს საქართველოს, ან უცხოეთში რაიმე თანამდებობაზე აღმოჩნდეს, მით უმეტეს, რომ უცხოეთში ნამუშევარია და შეჩვეულია იქ პროფესიულ საქმიანობას.

„მე ყოველთვის მეგონა, რომ ქალბატონ ზურაბიშვილს უცხოეთზე ჰქონდა ორიენტაცია აღებული და უცხოელების დასანახად აკეთებდა ყველაფერს.

გაგრძელება მე-11 გვ.

# მსოფლიოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ბოლოდროინდელი მოვლენების გამოძახილი

**აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილისა და პროფესორ ზურაბ გარაყანიძის მონოგრაფია „შუა დერეფნის ენერგეტიკული განზომილება" რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში საქართველოს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო პერსპექტივისა და უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებულ აქტუალური საკითხების კვლევას ეძღვნება.**

**ავტორებმა მონოგრაფიისთვის მასალებს აგროვებდნენ 2008 წლიდან, ე.ი. რუსეთ-საქართველოს ომის დასრულების შემდეგ. მონოგრაფია წარმოადგენს ამ დიდი მოცულობის ფაქტობრივი მასალის ანალიზისა და ისტორიული სტატისტიკური მასალის სინთეზს; ვრცელი ფაქტობრივი მასალის კვალიფიციურმა ანალიზმა უზრუნველყო კვლევის მეცნიერული შედეგების მაღალი არგუმენტაცია.**





**საინტერესო და სასარგებლო წიგნი**




შეიძლება ითქვას, რომ მონოგრაფია შუა დერეფნის გეოეკონომიკური განხილვის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. წიგნში შემოთავაზებული აქტივობები დაეხმარება ყაზახეთს, თურქეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს ამ მულტიმოდალური სარკინიგზო, მილსადენი-საზღვაო დერეფნის საიმედო, უსაფრთხო სავაჭრო მარშრუტად გადაქცევაში, რათა განახორციელონ აუცილებელი ზომები და ინვესტიციები და 2030 წლისთვის დერეფნის ტვირთბრუნვა გასამმაგდეს, მოგზაურობის დრო კი განახევრდეს.

ავტორების კვლევის მიზანია საქართველოს ადგილისა და როლის წარმოჩენა ევროპის და ცენტრალური აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო უსაფრთხოებაში, მისი პოტენციალის შესწავლა და ტრანზიტის ეფექტიანობის გაზრდა სამხრეთ კავკასიის რეგიონულ დონეზე. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ შუა დერეფანი მოიცავს სატრანსპორტო კავშირს ევრაზიის ორ უდიდეს ეკონომიკურ ძალას – ჩინეთსა და ევროპას შორის – რამდენადაც ის კვეთს ცენტრალურ აზიას, კასპიის ზღვას, სამხრეთ კავკასიასა და შავ ზღვას. ეს სატრანსპორტო დერეფანი კონცეპტუალიზდა, როგორც ჩრდილოეთ დერეფნის ალტერნატივა, რომელიც სათავეს ჩინეთში იღებს, ხოლო საბოლოოდ რუსეთის გავლით ევროპაში ხვდება. მიუხედავად შედარებით მცირე მასშტაბისა, ის აგრეთვე წარმოადგენს ევროპისა და აზიის დომინანტური საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო დერეფნების დამატებით ვარიანტს, რომელიც ცენტრალური აზიის იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც სანაოსნო დერეფნებზე წვდომა არა აქვთ, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. უხეშად რომ ვთქვათ, შუა დერეფანი მიჰყვება უძველეს აბრეშუმის გზას, რომელიც აზიასა და ევროპას აკავშირებდა.

(ისტორიული აბრეშუმის გზა კასპიის ზღვას სამხრეთიდან უვლიდა და ევროპისკენ ირანის გავლით მიემართებოდა, ხოლო ახალი შუა დერეფანი, რეგიონში პოლიტიკური დაპირისპირების გამო, ყაზახეთისა და თურქმენეთის პორტების საშუალებით კვეთს კასპიის ზღვას და აზერბაიჯანს უკავშირდება).

ავტორები აანალიზებენ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში სატრანსპორტო კომუნიკაციების მულტიმოდალური დივერსიფიკაციის პრინციპებს, აჯამებენ საქართველოს მიერ საერთაშორისო სატრანზიტო მარშრუტებისა და ჰაბების გამოყენების შესაძლებლობას, აფასებენ „შუა დერეფნის" შემდგომი განვითარებისთვის საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის და კასპიის რეგიონის ქვეყნების კანონმდებლობასთან შემდგომი ჰარმონიზაციის მნიშვნელობას, შეიმუშავებენ წინადადებებს საქართველოდან შავი ზღვის და თურქეთის გავლით ევროპაში ცენტრალური აზიიდან ტრანზიტის ახალი რეგიონალური გზების ორგანიზებისთვის. ისინი აფასებენ სამხრეთ კავკასიისა და მოსაზღვრე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში „შუა დერეფნის" პოტენციალს და ამ პოტენციალის გამოწვევებს.

„სარტყელის და გზის ინიციატივის" (**BRI**) სამი მარშრუტიდან – ჩრდილოეთი, შუა და სამხრეთი, ერთ-ერთი არის ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი (**TITR**), ანუ შუა დერეფანი. ის წარმოადგენს მრავალმხრივ ინსტიტუციონალურ ერთობას, რომელიც აკავშირებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (**PRC**) და ევროკავშირის საკონტეინერო სარკინიგზო სატვირთო ქსელებს ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის, თურქეთისა და აღმოსავლეთ ევროპის გავლით. შუა დერეფნის გავლით ვაჭრობის მოცულობამ 2023 წელს 2,8 მლნ ტონა შეადგინა (2022 წელი – 1,5 მლნ ტონა). ჩრდილოეთ მარშრუტით გადაზიდული ტვირთის მოცულობამ შეადგინა 144-145 მილიონი ტონა, ხოლო 1 მილიარდ ტონაზე მეტი ტვირთი გადაიზიდა ტრადიციული საზღვაო მარშრუტით, სუეცის არხის გავლით. აშკარაა, რომ შუა დერეფანში სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლები ჯერ კიდევ საკმაოდ მოკრძალებულია! აუცილებელია გამოვყოთ დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე პანელის სესიები თემაზე „ევრაზიის შუა დერეფანი: ბილიკიდან გზატკეცილამდე" და თემაზე „მთების გადალახვა, უსაფრთხოების აშენება სამხრეთ კავკასიაში" მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა, შესაბამისად, 2024 წლის 19 იანვარს და 18 თებერვალს.

მონოგრაფია, ისტორიული და ლოგიკური ანალიზის ერთიანობის დიალექტიკური მეთოდის გამოყენებით, განიხილავს რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტულ ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფილი იყო აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით. აღსანიშნავია, რომ ე.წ. თვითგამოცხადებული და ახლა გაუქმებული **NKR**-ის საზღვარი იყო მხოლოდ 15-16 კმ სატრანსპორტო კომუნიკაციებიდან, ევროკავშირის სამხრეთ გაზსადენის სამხრეთ კავკასიური მილსადენიდან და **BTC** და ბაქო-სუფსის ნავთობსადენებიდან. და მხოლოდ აზერბაიჯანისა და საქართველოს შესაბამისი სამსახურების მაღალპროფესიული და კოორდინირებული მუშაობის წყალობით, ათწლეულის განმავლობაში, შესაძლებელი გახდა ამ ქვეყნების ტერიტორიების გავლით მსოფლიო ბაზრებზე ნახშირწყალბადის ნედლეულის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა.

**ავტორები ციტირებენ აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მოსაზრებას: „ახლა არის იდეალური შესაძლებლობა, გამოვიყენოთ ეს საექსპორტო პოტენციალი და ის ფაქტი, რომ ჩინურ ტვირთს შეუძლია არა მხოლოდ ზღვითა და ოკეანით დასავლეთში წასვლა, არამედ სახმელეთო არტერიითაც, საქართველოსა და აზერბაიჯანის გავლით. ეს ხდება უფრო და უფრო რეალური სწორედ იმიტომ, რომ რუსული სატრანსპორტო არტერია იკეტება. ამ შემთხვევაში, ქართული სახელმწიფოს მონაწილეობა არის გარანტია იმისა, რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესები იქნება მაქსიმალურად დაცული."**

**ს. პავლიაშვილისა და ზ. გარაყანიძის მონოგრაფია ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისთანავე, დასავლეთის სახელმწიფოები, ჩინეთი, თურქეთი და BRI შუა მარშრუტის გასწვრივ მდებარე პატარა სახელმწიფოები ახორციელებენ მრავალმხრივ ძალისხმევას, რაც მოითხოვს კოორდინაციას ტვირთბრუნვის გაფართოების მიზნით.** ავტორები გვთავაზობენ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნას ევროკავშირის **TRACECA**-ს მუდმივი სამდივნოს ოფისში ბაქოში, რათა განიხილონ ცვლილებები საბაჟო პროცედურებში ან რეჟიმებში, საქონლის ტრანსპორტირების ტარიფებში და ა.შ. მაგალითად, რკინიგზით ნავთობის ტრანსპორტირების ტარიფების გაზრდის შემთხვევაში, ჯგუფის გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს ტვირთმფლობელებს მოახდინონ ნავთობის სწრაფად გადამისამართება რკინიგზის ცისტერნებიდან ნავთობსადენებში. ანალოგიურად, მილსადენებით გაზის გადატუმბვის ფასის გაზრდის შემთხვევაში, ან, ვთქვათ, მილსადენების ფიზიკური უსაფრთხოების საფრთხის, ან მისი ამოტუმბვის ტექნიკური სირთულეების შემთხვევაში, ჯგუფი გადაწყვეტს გაზის სწრაფად გადამისამართებას გაზის დეგაზაციის **LNG** საზღვაო ტერმინალებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორები გვთავაზობენ ყულევში „სოკარის ტერმინალის" (შპს **BST**) აშენებას და ექსპორტს **LNG** ტანკერებით. ავტორები მიიჩნევენ, რომ ჯგუფში უნდა შედიოდნენ „სამხრეთ გაზის დერეფნის" (**SGC**), **BTC**-სა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენების ოპერატორის – **BP**-ის წარმომადგენლები, ასევე **SOCAR**-ის, **TRACECA**-ს სპეციალისტები, ერთობლივი საწარმოს „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის" (**Middle Corridor TITR**) წარმომადგენლები.

**ცენტრალური აზიის შემთხვევაში, რუსეთ-უკრაინის ომმა შესაძლებლობა მისცა აზიის მცირე და დიდ ქვეყნებს, გადაეფასებინათ და შეემცირებინათ თავიანთი ზედმეტი ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე, მიუხედავად მათი ფორმალური ალიანსისა და რუსეთთან ერთად სხვადასხვა გაერთიანებაში წევრობისა. მეორე მხრივ, თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, გახდნენ შუა დერეფნის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალები, BRI-ის მთავარი სახმელეთო მარშრუტის – რუსეთ-ბელორუსის „ჩრდილოეთის მარშრუტის", კონკურენტები.**

ჯერ კიდევ რუსეთ-უკრაინის ომამდე, შუა დერეფნის მარშრუტზე მყოფ ე.წ. თურქეთის სრუტეებზე, „მარმარაის გვირაბზე" ბოსფორის ფსკერზე (დასრულდა 2013 წელს), ასევე კასპიისა და შავი ზღვის პორტებში, დაფიქსირდა ახალი ინვესტიციები და ტვირთბრუნვის ზრდა. მაგრამ დერეფნის განვითარების სივრცითი ტენდენციების, გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინება, ამ ნაშრომში პირველად გახდა გეოეკონომიკური ანალიზის ობიექტი. ავტორების მიერ შემოთავაზებული დასკვნები უზრუნველყოფს შუა დერეფნის მულტიმოდალურ მოქნილობას, გაზრდის მოთხოვნას სატვირთო გადაზიდვებზე ევროკავშირიდან და მათი აზრით ხელს შეუწყობს წინააღმდეგობის აღმოფხვრას დერეფნის ორ შიდა კონფლიქტურ ეკონომიკურ სისტემას – კომუნისტური ჩინეთისა და ევროკავშირის საბაზრო სისტემებს შორის.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ სამართლებრივი ნორმებისა და ტრანსპორტის ტარიფების ჰარმონიზაციის პრობლემები სათანადოდ მოგვარდება, მარშრუტი უკრაინაში ომის დასრულების შემდეგაც აქტუალური დარჩება. **ავტორები ციტირებენ აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მოსაზრებას: „ახლა არის იდეალური შესაძლებლობა, გამოვიყენოთ ეს საექსპორტო პოტენციალი და ის ფაქტი, რომ ჩინურ ტვირთს შეუძლია არა მხოლოდ ზღვითა და ოკეანით დასავლეთში წასვლა, არამედ სახმელეთო არტერიითაც, საქართველოსა და აზერბაიჯანის გავლით. ეს ხდება უფრო და უფრო რეალური სწორედ იმიტომ, რომ რუსული სატრანსპორტო არტერია იკეტება. ამ შემთხვევაში, ქართული სახელმწიფოს მონაწილეობა არის გარანტია იმისა, რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესები იქნება მაქსიმალურად დაცული."** აზერბაიჯანის პოზიციაც მსგავსია. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის ინიციატივით აზერბაიჯანში გაიმართა დიდი და წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენცია ახალი სატრანსპორტო დერეფნის შესახებ.

რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში დერეფნის ორი კავკასიური ქვეყნის და თურქეთის ტრანსპორტის ძირითადი ტიპების განვითარების გათვალისწინებით (მონოგრაფიის პირველი 4 თავი), ავტორები ხაზს უსვამენ გეოეკონომიკურ რისკებს და გამოწვევებს, რომლებიც დროთა განმავლობაში შესაძლოა საფრთხედ იქცეს შუა დერეფნის სატრანსპორტო მარშრუტებისადმი (მონოგრაფიის მომდევნო 3 თავი).

რა თავისებურებები ახასიათებს შუა დერეფნის

**საქართველოს მოსახლეობას ექნება საშუალება შეიძინოს აღნიშნულ საფონდო ბირჟაზე მათთვის სასურველი ობიექტების აქციები და პროექტის განვითარებასთან ერთად, გამდიდრდეს. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს როგორც კერძო კომპანიებისთვის დაფინანსების მოძიებას, ისე მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლის გაჩენას. სწორედ რომ საფონდო ბირჟის მეშვეობით იქნება შესაძლებელი, რომ მოსახლეობამ აღნიშნული პროექტის სრული პოტენციალი საკუთარ ჯიბეზე იგრძნოს.**

განვითარებას კავკასიაში თანამედროვე პირობებში? **– ეს მონოგრაფია არის მსოფლიოში და სამხრეთ კავკასიის რეგიონში გოლოდროინდელი მოვლენების გამოძახილი, როგორიცაა:** Covid19 პანდემია, 2020 წლის სომხეთ-აზერბაიჯანის მეორე ომი და რუსეთ-უკრაინის ომი. ავტორები ამტკიცებენ, რომ კავკასიაში შუა დერეფნის განვითარების შეფერხების სუბიექტური მიზეზი აღმოიფხვრა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით და შუა დერეფნის განვითარებით ახლა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა ინტერესდება ამ პროექტით.

შავი ზღვის აკვატორიის ქვეყნებისთვის ტვირთის ტრანსპორტირების შესაძლებლობებს დიდი როლი ენიჭებათ ამ ქვეყნების ეკონომიკაში. საქართველო ერთ-ერთი მათგანია და გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამჟამად საქართველოში ორი საზღვაო პორტი და ორი ნავთობტერმინალია ფუნქციური, ხოლო დამატებით ერთი – ანაკლიის პორტის მშენებლობა მხოლოდ დროის საკითხია. ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში არსებული საპორტო ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ, როდესაც არსებულ ნავმისადგომებს ტვირთების მომატებულ რაოდენობასთან უწევთ გამკლავება. ანაკლიის პორტის მშენებლობა არამხოლოდ ქართული მხარის ინტერესებშია: „ტრასეკა“-ში ჩართულ ყველა ქვეყანას აქვს აღნიშნული პორტის მშენებლობის ინტერესი, რადგან ეს საქართველოს საშუალებას მისცემს გაატაროს მათ მიერ მოწოდებული უფრო მეტი ტვირთი, ვიდრე მას აქამდე შეეძლო. ზემოთ აღნიშნული რუსეთ-უკრაინის ომის გამო გაზრდილი მოთხოვნა, ამ პირობებში დაკმაყოფილდება. აგრეთვე ირანის დასანქცირების გამო საქართველოსკენ გეზაღებული ტვირთი (სომხეთის გავლით) შეძლებს დაუბრკოლებლად მოხვდეს დანიშნულების ადგილზე, რასაც საქართველოს მიერ სხვადასხვა ქვეყანასთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები კიდევ უფრო გაამარტივებს.

ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდება ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობით, რაც საქართველოს გზას გაუხსნის მიიღოს გაცილებით უფრო დიდი ზომის გემები ვიდრე დღეს ახერხებს. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის აკვატორიაში მხოლოდ საქართველოს არა აქვს ღრმაწყლოვანი პორტი. მსგავსი პორტის აშენება ნიშნავს იმას, რომ დიდი წყალწყვის გემებიდან მცირე ზომის გემებზე საქონლის გადატვირთვა აღარ იქნება საჭირო. ეს გააიაფებს ტვირთის ტრანსპორტირების საერთო ღირებულებას და ამავდროულად გაზრდის მიღებული ტვირთების საერთო რაოდენობას. აგრეთვე, საქართველოდან გამავალი გემები შეძლებენ ერთი ჩატვირთვით წაიღონ უფრო მეტი ტვირთი, რაც ექსპორტირების/რეექსპორტირების ღირებულებას შეამცირებს და კონკურენტუნარიანობას გაზრდის.

მონოგრაფიაში მითითებულია, რომ რადგან ბაქოდან რკინიგზით შემოსული ტვირთი საქართველოდან ორი მიმართულებით შესაძლოა წავიდეს – შავი ზღვის საზღვაო პორტებით და თურქეთის სახმელეთო გზით, მნიშვნელოვანია რეფორმები ორივე ამ მიმართულებაში განხორციელდეს: კავკასიიდან თურქეთის მიმართულებით წასული ტვირთი ქართული 1520-მმ-იანი ლიანდაგიდან თურქულ 1435-მმ-იან ლიანდგებზე უნდა გადაიტვირთოს. ეს კი დამატებით ხარჯებთან და გაზრდილ ტრანსპორტირების დროსთანაა დაკავშირებული. ამ გამოწვევას ნაწილობრივ პასუხობს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, თუმცა 2017 წელს გახსნის შემდეგ, ის ჯერ კიდევ სატესტო რეჟიმშია და სრული დატვირთვით ვერ ფუნქციონირებს. რკინიგზის ლიანდაგების რელსების არაერთგვაროვანი სისტემა შუა დერეფნის დიდი ნაკლოვანებაა, შედეგად კი საქართველოში გამავალი ტვირთის ხშირად ავტო ტრანსპორტით გადაზიდვაა საჭირო, რაც თავის მხრივ, რკინიგზასთან შედარებით, ტრანსპორტირების გაცილებით უფრო ძვირი გზაა.

მონოგრაფიაში ქართველი ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბაზრების ტვირთების გადაზიდვა, არამედ ამ ტვირთების (საქონლის) მომსახურების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აქციების მიმოქცევა ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე – ელექტრონულ საფონდო ბირჟაზე. ეს მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გამო, რომ აკუმულირებული თანხა დააფინანსებს შუა სატრანსპორტო დერეფნის პროექტის განხორციელებას, არამედ იმიტომ, რომ **საქართველოს მოსახლეობას ექნება საშუალება შეიძინოს აღნიშნულ საფონდო ბირჟაზე მათთვის სასურველი ობიექტების აქციები და პროექტის განვითარებასთან ერთად, გამდიდრდეს. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს როგორც კერძო კომპანიებისთვის დაფინანსების მოძიებას, ისე მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლის გაჩენას. სწორედ რომ საფონდო ბირჟის მეშვეობით იქნება შესაძლებელი, რომ მოსახლეობამ აღნიშნული პროექტის სრული პოტენციალი საკუთარ ჯიბეზე იგრძნოს.**

მონოგრაფიაში მაგალითისთვის განხილულია ანაკლიის პორტის მშენებლობა: უმეტესობამ იცის, რომ აღნიშნული პორტი შემოსავლიანი იქნება, მაგრამ თუკი მას სახელმწიფო დააფინანსებს, ან 100%-ით ისეთი კომპანია ააშენებს, რომლის აქციებიც მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი არ იქნება, მაშინ კომპანიისა და ზოგადად ანაკლიის პორტის წარმატება ხალხის კეთილდღეობაზე პირდაპირ ზეგავლენას ვერ მოახდენს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მოსახლეობას ექნება საშუალება, გახდეს კომპანიის თანამფლობელი, ანუ შეიძინოს მისი თუნდაც მცირე რაოდენობით აქციები, მაშინ პორტის პროექტის წარმატება პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. საფონდო ბირჟის სრულად ამუშავება გარდა პირდაპირი ფინანსური სარგებლისა, აგრეთვე ავითარებს ეკონომიკურ ღიაობას და გამჭვირვალობას: სანამ კომპანია გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს, მას მოუწევს გაითვალისწინოს, თუ როგორ აისახება მათი გადადგმული ნაბიჯები კომპანიის აქციონერებზე. თუკი აქციონერები იფიქრებენ, რომ კომპანია არასწორ ნაბიჯებს დგამს და გარკვეული ძალის ინტერესებს ატარებს, ისინი გაყიდიან აქციებს, რაც კომპანიის ერთეული აქციის ფასს გააუფასურებს. ასე ხდება ნიუ იორკის, ლონდონის, შანხაის, ფრანკფურტის, სინგაპურის და სხვა საფონდო ბირჟებზე.

სწორედ მსგავს გარემოში მოქმედებს „უხილავი ხელი“, რომელიც ბაზარს არეგულირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის იარსებებს რისკი და უნდობლობა, რომ ესა თუ ის პროექტი (კომპანია) ვიწრო ჯგუფის ინტერესებს ატარებს. საფონდო ბირჟა მოიზიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც საქართველოში ინვესტიციებს არა მხოლოდ ფინანსური, არამედ ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსებით განახორციელებენ.

განხილულ საკითხებზე მონოგრაფიის ავტორებმა, გამოაქვეყნეს მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია. 2019 წელს მონოგრაფიისთვის „სატრანსპორტო დერეფანი საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები“ (2014) მათ მიენიჭათ აკად. პაატა გუგუშვილის სახელობის პრემია.

აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილისა და პროფესორ ზურაბ გარაყანიძის კვლევა მიუთითებს, რომ ავტორები საკმარისად ფლობენ მეცნიერული ანალიზის მეთოდებს, ჩატარებული აქვთ საკმაოდ მაღალი დონის სიღრმისეული სამეცნიერო კვლევა და აქვთ ფართო ერუდიცია საბაზრო ეკონომიკის გარემოში ეკონომიკური პოლიტიკისა და საჯარო მართვის პრაქტიკის სფეროში.

მონოგრაფიით „შუა დერეფნის ენერგეტიკული განზომილება“ მათ მიაღწიეს დასახულ მიზანს. ჩვენს წინაშეა უაღრესად აქტუალური საკითხების ახლებურად გააზრებისადმი მიძღვნილი წიგნი, რომელიც ამავე დროს დაწერილია კარგი, გასაგები ენით და ძალზე საინტერესო და სასარგებლოა არა მარტო სპეციალისტებისთვის, არამედ ამ საკითხით დაინტერესებული რიგითი მკითხველისთვისაც.

**აკადემიკოსი**
**თამაზ ნატრიაშვილი**

# „ნიჭიერთა ათწლედს“ ახალი შენობა აქვს!



**პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ვიცე-პრემიერთან, კულტურისა და სპორტის მინისტრ თეა წულუკიანთან ერთად ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ ახალი შენობა გახსნა. ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

მათივე ცნობით, მთავრობის მეთაურმა რეაბილიტირებული შენობა დაათვალიერა და განხორციელებულ სამუშაოებს გაეცნო.

„სასწავლებელი წლების განმავლობაში რთული პრობლემების წინაშე იდგა. შენობა არ შეესაბამებოდა პროფესიულ გარემოს, ვერ აკმაყოფილებდა ცენტრალური სამუსიკო სკოლის მოთხოვნებს. ფონდ „ქართუს“ ინვესტიციით და სახელმწიფოს მხარდაჭერით, სასწავლებლის შენობა განახლდა.

პროექტისათვის 7 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. პრემიერ-მინისტრმა „ნიჭიერთა ათწლედის“ დირექტორს ნოდარ ჟვანიას, პედაგოგებსა და მოსწავლეებს ახალი შენობის გახსნა და სასწავლებლის დაარსებიდან 90 წლის იუბილე მიულოცა. ირაკლი კობახიძე თეა წულუკიანთან და ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანთან ერთად დაესწრო ახალი შენობის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტს, რომელშიც „ნიჭიერთა ათწლედის“ წარმატებულმა მოსწავლეებმა და კურსდამთავრებულებმა მიიღეს მონაწილეობა.

# თსუ-ის ჟურნალი „ფაზისი“ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში შევიდა




**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ჟურნალი „ფაზისი“ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში – Scopus-ში შევიდა. ამის შესახებ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ ოფიციალური შეტყობინება უკვე მიიღო, ხოლო თავად ჟურნალი ერთი თვის განმავლობაში აისახება ბაზაში.**

**Scopus** არის საყოველთაოდ აღიარებული და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ბაზა, რომელიც სხვადასხვა დარგის რეფერირებულ აკადემიურ ჟურნალს აერთიანებს. ბაზაში „ფაზისის“ ჩართვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქართული სამეცნიერო გამოცემების მიმართ ნდობისა და პრესტიჟის ამაღლებისთვის, მათი საერთაშორისო აღიარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით საქართველოს სამეცნიერო სივრცეში მაღალი აკადემიური სტანდარტის დანერგვას, ქართველ მეცნიერთა ცნობადობის ზრდასა და მათ ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.

ჟურნალი „ფაზისი“ 1999 წელს დაარსდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის მიერ. ჟურნალის დაარსების ინიციატორი და მთავარი რედაქტორია თსუ-ის ემერიტუსი პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **რისმაგ გორდეზიანი**. „ფაზისის“ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რედაქტორებმა – თამარ ჭეიშვილმა და თამარ ჯაფარიძემ. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას შეადგენენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები, მათ შორის ჰაიდელბერგის, იენის, ბრემენის, პიზის, ბოლონიის, დარემის უნივერსიტეტების სხვადასხვა თაობის პროფესორები. ჟურნალი ბეჭდური და ელექტრონული სახით ყოველწლიურად გამოიცემა და ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე აქვეყნებს სტატიებს სიძველეთმცოდნეობის, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში.

2015 წელს “ფაზისი“ რეფერირებული ჟურნალი გახდა და 2020 წელს შევიდა **ERIH PLUS**-ის ბაზაში. **Scopus**-ში „ფაზისის“ ჩართვა კი ჩვენი უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებების, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის ქართული სკოლის და, ზოგადად, ქართული მეცნიერების მნიშვნელოვანი წარმატებაა. ეს არის ჰუმანიტარული მეცნიერებების პროფილის მქონე პირველი საუნივერსიტეტო ქართული ჟურნალი, რომელიც **Scopus**-ის ბაზაშია ინდექსირებული.

# ქართული კულტურის დღეები დანიაში

**2024 წლის 24 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით, დანიის სამეფოს დედაქალაქ კოპენჰაგენში ქართული კულტურის დღეები გაიმართება. კულტურის დღეები საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დანიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ჩატარდება.**

როგორც კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან კულტურულ ღონისძიებებს, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ: ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „ბასიანი“ და ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი; კალიგრაფი გიორგი სისაური;

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი წარადგენს უილიამ შექსპირის „ოტელოს“, ხოლო საქართველოს ეროვნული კინოცენტრი დანიის კინოინსტიტუტის სინემათეკასთან პარტნიორობით სამი ქართული ფილმის ჩვენებას გამართავს.

# წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა...

## საქართველო შოთა რუსთაველია, ცოტნე დადიანია, ქართლის ერისთავი ნერსეა, დავით სოსლანია, ერეკლე მეფეა, ალუდა ქეთელაურია, სერჟანტი ანწუხელიძეა...



**კატობრიობის არსებობისთვის გამანადგურებელი ვითარებაა რუსეთ-უკრაინის ფრონტზე, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს სანახევროდ ოკუპირებული უკრაინის არმიის ავანტიურისტული შეჭრა რუსეთის კურსკის ოლქში. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ნაბიჯის საპასუხოდ რუსეთმა გააძლიერა თავდასხმები უკრაინულ სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე. თავის მხრივ, უკრაინა დასავლელი და ამერიკელი მოკავშირეებისაგან ჯიუტად მოითხოვს ულტრათანამედროვე იარაღის მიწოდებას. ისინიც პირდებიან.**

გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ საფრთხე საქართველოს თავისით გვერდს აუვლის. მით უფრო, ბევრი ჩვენი შინაური და გარეული მტერ-მოყვარე მომაკვდინებელი საერთაშორისო კონფლიქტებში ჩართვისკენ გვიბიძგებს.

ევროპელი და ამერიკელი მეგობრების საქართველოსადმი ბოლოდროინდელი დამოკიდებულება იმის აშკარა მანიშნებელია, რომ საქართველომ, ბოლოს და ბოლოს, ომი უნდა გამოუცხადოს ოკუპანტს, რაც რუსული არმიის დაქსაქსვა-დასუსტებას და დასავლეთის ფრონტზე მის ზეწოლას შეამსუბუქებს. არავის ადარდებს, რომ ამ ნაბიჯის გადადგმიდან რამდენიმე დღეში საქართველოს ისტორია სამარადჟამოდ დამთავრდება. ხმამაღლა არც იმას ამბობენ, რომ სამხრეთის ფრონტის გახსნა და უკრაინისთვის უახლესი იარაღის მიწოდება ახალი მსოფლიო ომის წინაპირობაა.




**დასავლელი მეგობრების საქართველოსადმი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ სამიოდე ჩვენი ძველი მეგობრის ახალ მონოდებებს გაგაცნობთ.**

მაშ ასე, დევიდ კრამერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას, ამჟამად ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო ცენტრის დირექტორი: **„პასუხისმგებლობა ახლანდელ ვითარებაზე „ქართულ ოცნებას“, მთავრობას და ბიძინა ივანიშვილს ეკისრებათ. მათ მიჰყავთ საქართველო არასწორი გზით, საუბრობენ გლობალური ომის პარტიაზე, ოპოზიციის აკრძალვაზე. მათ მიიღეს რუსული სტილის კანონი „ენჯეობის“ წინააღმდეგ, ებრძვიან ლგბტქ+ თემს. ასე რომ, ამერიკა უბრალოდ, ამას და ამერიკაზე, ამერიკელ სენატორებზე, კონგრესმენებზე, ამერიკის ყოფილ ელჩზე თავდასხმას პასუხობს და ამბობს, რომ „კმარა!“ შესაძლოა, ამერიკის მთავრობამ ივანიშვილის სანქცირება არჩევნების შემდეგ გადაწყვიტოს, თუ „ქართული ოცნება“ ოპოზიციის აკრძალვას, ან ოპოზიციონერი დეპუტატების გადაყენებას დააპირებს“.**




უილიამ კორტნი, შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საქართველოში: **„საქართველოში შექმნილ ვითარებას ალექსანდრ ლუკაშენკოსა და ბელარუსს შევადარებდი. ახლანდელი საქართველოს ლიდერები კიდევ უფრო მტრულად არიან განწყობილი დასავლეთ ევროპისა და ამერიკისადმი. ამიტომ შეშფოთებული ვარ ადამიანის უფლებების დარღვევის გამო და იმის გამოც, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები შესაძლოა გააყალბონ“.**

**სერ უილიამ კორტნი სწორედ ის „მეგობარია“, სააკაშვილის გათავისუფლებას და ივანიშვილის დაპატიმრებას რომ მოითხოვდა. მიაჩნდა, რომ საქართველო მისი კარნახით უნდა იმართებოდეს!**

* * *

**ყურადსაღებია ჩვენი დაუპატიჟებელი სტუმრის, მიხაელ როთის, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის დარიგებებიც. ეს ის გათხოვილი ბატონი (ან ქალბატონი, ან ორივე ერთად) როთია, ქართული ეკლესია ბინძურად რომ გალანძღა და ამის გამო გოდიში დღემდე არ მოუხდია. იმასაც ვერ ხვდება, რატომ არ მიიღო სასაუბროდ პრემიერმა ირაკლი კობახიძემ: „ბოდიში რატომ უნდა მოვიხადო? იქნებ (საქართველოს) მთავრობამ მოიხადოს ბოდიში უმცირესობების სტიგმატიზებისთვის, იმისთვის, რომ ადანაშაულებენ ახალგაზრდა თაობას, რომელიც ქუჩაში მხოლოდ თავისუფლებისთვის, დემოკრატიისთვის, ევროპული ღირებულებებისთვის გამოდის. ძალიან ბევრს ვმოგზაურობ. ყველგან ვხვდები მთავრობებს, დეპუტატებს, ოპოზიციას, სამოქალაქო საზოგადოებას, მედიას. ყველგან, გარდა ერთი ქვეყნისა – საქართველოსი. მეცნობა ეს მანიპულაცია სხვა ავტორიტარული რეჟიმებისგან“.**

* * *

**დასკვნის გამოტანა ძნელი სულაც არ არის 2 ეს და ბევრი სხვა „მეგობარი“, ჩვენნაირი ქვეყნების არსებობა და ადამიანების სიცოცხლე ფეხებზე რომ ჰკიდიათ, მსოფლიოში დაუმთავრებელი ომების ორგანიზატორების დავალებით, საქართველოში ვითარების უკიდურესად არევას ცდილობენ. უცნაური არა, მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ მათ ოპოზიციად წოდებული ქართველი მოკავშირეებიც მხარს უბამენ. არ გამოვრიცხავ, დასავლეთის ბრმად მოტრფიალე ბევრი ქართველი „პატრიოტი“ მოსალოდნელ ტრაგიკულ შედეგებზე არც ფიქრობდეს.**

მხოლოდ ერთ გახმაურებულ და, ჩემი აზრით, მრავლის მთქმელ მაგალითს შემოგთავაზებთ.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, მამუკა მდინარაძის ყოვლად მშვიდობიან განცხადებას, მოძმე აფხაზებისა და ოსების შემორიგების, მათ წინაშე ჩადენილი შესაძლო დანაშაულისთვის მობოდიშების აუცილებლობაზე, ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტმა ლუკა ტყებუჩავამ ასე უპასუხა: დიახ, ოსი და აფხაზი არის საქართველოს მტერი! და ეს „დიახ“ სამჯერ გოროზად გაიმეორა.

თუ ჟურნალისტ ლუკა ტყებუჩავას თავისი ნათქვამისა გულწრფელად სჯერა, ერთი უბირი ბიჭი ყოფილა და სათქმელიც არაფერია – ღმერთმა ხელი მოუმართოს. მაგრამ, ვაი, რომ ასე არ არის – მან მშვენივრად იცის, რასაც აკეთებს. TV ფორმულას ჟურნალისტი, სავარაუდოდ, თავისი მარჩენალი კასტის დავალებას ასრულებს და სწორედ ეს არის უაღრესად საშიში: ვფიქრობ, საქართველოში მოქმედებს პოლიტიკით შენიღბული კარგად ორგანიზებული მოღალატეობრივი ძალა, რომელიც ქვეყნის შიდა და გარე სისხლიან დაპირისპირებაში ჩათრევას ლამობს.

### რადიკალური „მედასავლეთე“ ოპოზიციის საყურადღებოდ:

თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი, ერთ-ერთი უპირველესი მხედართმთავარი და მეომარი საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში, გახლდათ ეთნიკური ოსი.

გიორგი მერჩულის ნაამბობი ისტორია გავიხსენოთ – რა პატივით და მოწიწებით შეიფარა არაბთაგან დევნილი ქართლის ერისთავი აფხაზთა მეფემ, როგორ დაეხმარა ოსეთში გადასვლასა და მერე იქიდან ტრიუმფით დაბრუნებაში...

დიდი ვაჟას ალუდა ქეთელაურსაც ნუ დავივიწყებთ: „...მარჯვენას არ სჭრის მუცალსა, იტყოდა: ცოდვა არიო; ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო. მკლავზედაც გებას მარჯვენა, შენზედ ალალი არიო...“




მოდი, მსოფლიო ფოლკლორის ერთი უმაგალითო ქართული შედევრიც გავიხსენოთ, ვეფხვისგან შვილმკვდარი დედა ვეფხვის დედასთან მისვლას, მისამძიმრებას და მობოდიშებას რომ აპირებს: „...იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა. წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა, ისიც მიამბობს თავისას, მეც ვუთხრა ჩემი შვილისა, იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისა“... ამით ბრძენი ქართველი ხალხი გვეუბნება, რომ ის ჩვენი დედაა, საქართველოა – გმირულად მეომარი, ბრძენი და მიმტევებელი.

ქართველი ის ერია, „ვისაც, სიყვარულით უარყოფილს, სხვისი სიყვარული შეუძლია... დიდი შეცოდების პატიება ვისაც დიდსულოვნად შეუძლია!..

საქართველო შოთა რუსთაველია, ცოტნე დადიანია, ქართლის ერისთავი ნერსეა, დავით სოსლანია, ერეკლე მეფეა, ალუდა ქეთელაურია, სერჟანტი ანწუხელიძეა...

**საქართველო არ არის ანა წითლიძე და ანა ნაცვლიშვილი, რომლებმაც კატეგორიულად თავი აარიდეს პასუხს კითხვაზე, იზიარებენ თუ არა ჟურნალისტ ტყებუჩავას მოსაზრებას. ანუ აღიარეს, რომ ნაცპარტიას ქართველი ერი, მათ შორის მისივე მხარდამჭერი გულუბრყვილო ახალგაზრდობა, კორტნი-როთი-კრამერის მსგავსად და მათივე მითითებით, ფეხებზე ჰკიდია – დავალების შესრულებისთანავე სანაგვეზე მოისვრის.**



დავფიქრდეთ ამაზე, ძვირფასო თანამემამულეებო.

**თეიმურაზ ქორიძე**

# მედიცინა
# 5-წუთიანი ტესტი, რომელსაც გულის შეტევის რისკის გამოვლენა შეუძლია

**შვედმა მეცნიერებმა 5-წუთიანი ტესტი შექმნეს, რომელიც გულის შეტევის რისკის გამოვლენას ისახავს მიზნად. კითხვარი ისეთივე სიზუსტით აფასებს არტერიებში ცხიმოვანი დანალექების არსებობის ალბათობას, როგორითაც სისხლის ანალიზები და წნევის გასინჯვა. შეფასების ეს სწრაფი და მარტივი მეთოდი ექიმთან ვიზიტს არ საჭიროებს.**

გულის შეტევის პრევენციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რისკები რაც შეიძლება მალე გამოვლინდეს. შესაბამისად, შესაძლოა, თვითაღწერის კითხვარი არაერთი სიცოცხლის გადარჩენაში დაგვეხმაროს.

„გულის შეტევა ხშირად მოულოდნელად იჩენს თავს“, — ამბობს გორან ბერგსტრომი, კლინიკური ფიზიოლოგი გოტენბურგის უნივერსიტეტიდან — „ბევრი ადამიანი, რომელთაც გულის შეტევა ემართებათ, ერთი შეხედვით ჯანმრთელნი და უსიმპტომონი არიან, თუმცა კორონალურ არტერიებში ცხიმოვანი დანალექები აქვთ, იგივე ათეროსკლეროზი“.

თვითაღწერის კითხვარი 14 კითხვისგან შედგება. კითხვები ეხება: ადამიანის ასაკს, სქესს, წონას, დიაბეტის სტატუს, სისხლის წნევას, ლიპიდების დონეებს, ოჯახურ ისტორიასა და მოწევასთან დაკავშირებულ ჩვევებს. მკვლევრების თქმით, მის შევსებას დაახლოებით 5-8 წუთი დასჭირდება.

მიმდინარე პროექტის, SCAPIS-ის, ფარგლებში ამ შეკითხვებს 25 ათასზე მეტმა ადამიანმა უპასუხა; მათი ასაკი 50-იდან 64 წლამდე მერყეობდა. მკვლევრებმა პასუხები კომპიუტერული ტომოგრაფიის შედეგებს შეადარეს, რომლებიც ასევე SCAPIS-ის ფარგლებში შეგროვდა.

კომპიუტერული ტომოგრაფია არტერიებში ცხიმოვან დანალექებსაც აჩვენებს, ამიტომ გუნდმა შეძლო და კითხვებზე გაცემული პასუხები რეალურ კორონალურ ათეროსკლეროზს დაუკავშირა. ასე მეცნიერებმა გულის შეტევის რისკის შეფასება შეძლეს.

მეთოდი მათ SCAPIS-ის უფრო პატარა ქვესექციაზეც გამოცადეს, შედეგად კი გამოვლინდა, რომ ყველაზე მაღალი რისკი ადამიანთა 64.6%-ს ჰქონდა.

შემდეგ შედარების მიზნით კლინიკური ხელსაწყო გამოიყენეს. იგი პაციენტების მიერ აღწერილ 14 და დამატებით 9 ფაქტორს მოიცავდა, მათ შორის ლაბორატორიული ანალიზების შედეგებსა და სასიცოცხლო ნიშნებს.



კლინიკური ხელსაწყოს გამოყენებით გუნდმა დაადგინა, რომ ყველაზე მაღალი რისკი ადამიანების 67.3%-ს ჰქონდა. გამოდის, თვითაღწერით მიღებული მონაცემებით შესაძლებელია, რომ გულის შეტევის რისკი ეფექტიანად შეფასდეს, ხოლო კლინიკაში ვიზიტით ეს რისკი ოდნავ უფრო ზუსტად დგინდება.

მკვლევართა გუნდს სურს, რომ ტესტირება უფრო დიდ ჯგუფებზე ჩაატაროს სხვა ქვეყნებში. ეს იმის დადგენისთვის არის საჭირო, იგივე იქნება თუ არა კავშირი გულის შეტევის რისკსა და კითხვარის შედეგებს შორის.

საგულისხმოა, რომ რისკს მხოლოდ თვითაღწერის ინსტრუმენტი არ ადგენს; კითხვარის მიზანი პირველადი შეფასებაა, ანუ კითხვებზე პასუხის მიხედვით დგინდება, ვის სჭირდება ექიმთან ვიზიტი და დამატებითი გამოკვლევები. მკვლევრებს სურთ, რომ ასეთმა ადამიანებმა რაც შეიძლება მალე შეძლონ გართულებების პრევენცია.

ცნობისთვის, გულის შეტევა მაშინ ვითარდება, როცა გულის ნაწილს სისხლის მიწოდება უწყდება და კუნთს ჟანგბადი აკლდება. როგორც წესი, ამას კორონალურ არტერიაში ნადების დაგროვება და გასკდომა განაპირობებს, რის შედეგადაც თრომბი წარმოიქმნება. ამ პროცესში არაერთი ფაქტორი შეიძლება მონაწილეობდეს — ჰაერის დაბინძურებიდან დაწყებული, სამსახურში განცდილი სტრესით დამთავრებული. მკვლევრები აქტიურად მუშაობენ, რომ გულის შეტევების დროული პრევენცია შევძლოთ.

**ბერგსტრომის თქმით, ტესტი არაერთ სიცოცხლეს გადაარჩენს, თუ ჯანდაცვის სფეროში ფართოდ ხელმისაწვდომი გახდება. იგი ექიმებს იმ ადამიანების გამოვლენაში დაეხმარება, რომელთაც გულის შეტევის მაღალი რისკი აქვთ, ანდა უფრო აქტიური მკურნალობა ესაჭიროებათ.**

საქართველოს რესპუბლიკა

# სასწაულმოქმედი ოქონის ტრიპტიკონი – საქართველოში!

**შფოთიანი დღევანდელობის ისტორიული პროცესების ფონზე, სულ უფრო აქტუალური ხდება მრავალჭირნახული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-გადარჩენის საკითხი. ეს ხომ ერის მიზანმიმართული შესაძლებლობებისა თუ მისი ფასდაუდებელი ღირებულებების გამოვლენა-პატივისცემის დამაჯერებელი ნიშანსვეტია. საგულისხმოა, რომ კაცობრიობის არსებობის ნებისმიერ ეპოქაში ადამიანები ინდივიდუალური თავისუფლებისათვის ისწრაფოდნენ. ეს კი ყველაზე მეტად კულტურულ მემკვიდრეობაში აისახებოდა.**

**ფრონეს ხეობაში ამჟამად სამოცზე მეტი საკულტო ნაგებობაა შემორჩენილი. მათი უმრავლესობა ცოცხლობს ლამაზი ლეგენდებითა თუ ნამდვილი ისტორიით. მათ შორის მოიაზრება ოქონის ტაძარი (სურათზე). მისი აშენება მეფე ბაგრატ მეოთხის (1027-1072) მეუღლე ელენეს უკავშირდება, რომელიც ბიზანტიის კეისრის რომან აგრისას ძმისწული გახლდათ.**

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, დედოფალს მზითევში მოჰყოლია ოქონის ღვთისმშობლის ხატი. მას თან წამოჰყოლია თავისი მოძღვარი ფილიმონი, რომელიც შემდგომ გარსევანიშვილების წინაპრად მიიჩნევა. ასევე, **ელენეს საბერძნეთიდან წამოუყვანია ხუროთმოძღვარი და მშენებლები. მათ, ფრონეს თვალწარმტაცი ხეობის სოფელ ოქონაში შესანიშნავი ტაძარი აუგიათ და იქვე დაუსვენებიათ ღვთისმშობლის ხატიც. ამ სასწაულმოქმედი სიწმინდის მცველნი გარსევანიშვილები ყოფილან.**

ჟამიანობისას, როცა ოქონა მტერს აუოხრებია, „განძის მფლობელ“ გარსევანიშვილებს ეს ხატი სოფლიდან გაუტანიათ, მისთვის გორში ღვთისმშობლის ეკლესია აუშენებიათ და იქ დაუბრძანებიათ.

ივერიელთა სათაყვანო ოქონის ღვთისმშობლის ტრიპტისი, რომელიც თავის წარმოშობას ბიზანტიის ქალაქ იკონიიდან იღებს, მისი შექმნის დროიდანვე, აღსავსეა გადმოცემებით, დაუჯერებელი თუ სარწმუნო ამბებით... ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, მეფეთათვის ასრულებდა სასწაულმოქმედის მისიას, ხოლო ჯვარცმასთან ერთად, ბრძოლაში წინ მიუძღვოდა ჯარს, ლხინში ლოცავდა და ბედნიერ მომავალს უმკვიდრებდა. ხატი და ჯვარცმა ერთად ესვენა მეფის საბრძანებლოში, შემდგომ კი – გორის ოქონის ღვთისმშობლის ტაძარში. „წინასასვენ ხატს“ მოგზაურობაც უხდებოდა. **„XVI საუკუნეში ქართლის მეფე სვიმონმა კიდევ ერთხელ სცადა საქართველოს გაერთიანება და იმერეთს გაემართა ჯარით, თან წაიღო ოქონის ხატი და ჯვარცმა.“**

ოქონის სასწაულმოქმედი ხატის დასავლეთ საქართველოში „მოგზაურობის“ შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი მიგვანიშნებს: **„შემდეგ შთავიდა მეფე (ვახტანგ მეხუთე) ოდიშს, ვერ წინაღუდგა დადიანი (ვამეხ დადიანი), არამედ ივლტოდა სვანეთს, ხოლო ბრძანებითა მეფისათა შეუჩინა ლასხიშვილმა ხოსიამ კაცი და მოკლეს დადიანი მუნ. მაშინ მეფემან მოსტყუენა ოდიში და აღიხუნა ციხენი. მერმე მოადგა ჭაქვითის ციხეს შინა მყოფ ცოლ-შვილსა დადიანისას. მცირე ხანსა შინა გამოიყვანა იგინი და გამოიხუნა საჭურჭლენი მრავლნი დადიანისანი. და ჰპოა მუნ ხატი ოქონისა, რომელი დაშთა მეფესა სიმონს. შემდგომად მოვიდა ზუგდიდსა. მუნ მოერთო შარვაშიძე აფხაზითურთ დიდით ძღუენითა, მერმე დასვა დადიანად ოდიშს ლევან.“**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ოქონის სიწმინდე და ჯვარცმა ალბათ უნდა ყოფილიყო „ტყვეობაში“ დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოში), ხოლო შემდეგ ვახტანგ მეხუთეს დაუბრუნებია ქართლში.

ხატის შესახებ გრაფინია პ. უვაროვა იუწყებოდა: **„ნახა სოფელ ოქონასა და გორის ოქონაში დაცული სამი ხატი. აქედან, ერთი სპილოს ძვალზე, აშკარად ბიზანტიური, სასწაულმოქმედი, მეორე ღვთისმშობლისა ჭედური და მესამეც ისევ სამკარედიანი.“**

ხალხური გადმოცემის თანახმად, ოქონის სასწაულმოქმედი სიწმინდე ლეკებს გაუტაციათ და სათათრეთში გაუყიდიათ. მალე მყიდველი ძლიერ ავად გამხდარა. მკითხავმა მას ურჩია: ხატი დააბრუნე, თორემ ოჯახიანად გადაშენდებიო. შეშინებულ თათარს შესყიდული სიწმინდე საქართველოში ჩამოუტანია და თურმე იმ ადგილს ეძებდა, საიდანაც იყო გატაცებული. მას ამილახვარი შემთხვევით შეხვედრია, უცვნია ოქონის ხატი და გამოურთმევია. ის ჯერ გორში დაუსვენებია, სადაც აუგია ზემოთ ხსენებული ოქონის ეკლესია. მერე კი, ამილახვარს ხატის დამიზეზების შიშით, ის ფრონეს ხეობის სოფელ ოქონაში გადაუტანია.



**სპილოს ძვლისგან დამზადებულ და ვერცხლით მოჭედილ ხატზე ღვთისმშობელი, იესო და იოანე ნათლისმცემელია გამოსახული. ის ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშად ითვლება და XI საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება, ვერცხლის მოჭედულობა გამოკვეთილი წარწერით კი XII საუკუნით თარიღდება.**

ოქონის ხატი გორის მფარველად ითვლებოდა, სწორედ ამიტომ ოქონობის დღესასწაული ქართლის მეთაურ ქალაქში (როგორც სოფ. ოქონაში) ყოველ წელს, ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს აღინიშნება.

**1923 წლის შემდეგ, როდესაც ბოლშევიკების ზეობისას სიწმინდეების განადგურება დაიწყო, ოქონის ხატი სოფლიდან ცხინვალის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმში გადაიტანეს.**

ისიც ნიშანდობლივია, რომ საუკუნეთა ქარტეხილგამოვლილ ღვთისმშობლის ტაძარს დრო-ჟამმა მზაკვრული კვალი დაატყო – დააზიანა სახურავი, საიდანაც ავდრიანობისას სამლოცველოში წყალი ჟონავდა, დაიბზარა კედლები... მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის მძვინვარებისა, **70-იან წლებში, ღვთაებრივი შთაგონებით აღიმართა იქვე, სამლოცველოს სიახლოვეს მობინადრე – ზემო ოქონიდან, მარჯვენადალოცვილი ოსტატი ფარსადან ლაჭვრიშვილი და თანასოფლელებს „ღვთის სახლის“ აღსადგენად საჭირო თანხის შეგროვება მოუწოდა. ფრონესპირელებმაც არ დაახანეს და ესოდენ საშური საქმის შესასრულებლად პირველები გამოეხმაურნენ: ხეობაში (და არა მარტო) ცნობილი ქველმოქმედი, სამი ვაჟკაცის (ჯონი, მამუკა, ზვიად გოგილაშვილები) გამზრდელი დედა კლარა დვალი, გურამ მამაცაშვილი, არჩილ, გოგი დვალები, ილია ბუზალაძე, ძმები გრაფ და ვლადიმერ ფუხაევები, ბეჟან აჭარაძე, ედემი, ზუბიკო, ოთარ ხიმშიაშვილები, მეტო და ჯემალ შიუკაევები, გივი და როლანდ ჩხეიძეები, სხვები – ნოზაძეები, ნუკრაძეები, მამუკიშვილები, ჭიღლაძეები, ნეფარიძეები... ფეხზე დადგა მთელი სოფელი (ზემო და ქვემო ოქონა) და ღვთის ტაძრის რესტავრაცია, მოყვასის თანადგომით, ფარსადან – „დიდოსტატმა“ წარმატებით დააგვირგვინა.**

ცნობილი ფაქტია, – ოქონის ტრიპტიკონი სამეცნიერო ლიტერატურაშიც კარგადაა ასახული. სპილოს ძვლის ეს სამკარედიანი ხატი ნახსენებია ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა მთელ რიგ ნაშრომებში და საქართველოს ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს.

გასული საუკუნის მიწურულს, **ქართულ-ოსური ეთნიკური დაპირისპირების ავბედით დღეებში (1991), ხატი ცხინვალის მუზეუმიდან დაიკარგა. ტრიპტიკონი ხელახლა ჩნდება 2001 წელს. ის აუქციონ „კრისტის“ ჟენევის ოფისში გასაყიდად გამოიტანა რუსეთის მოქალაქე ოლეგ ზემლიანიკოვმა. ოფისის ხელმძღვანელობამ, ჩვეულებრივ, დაიწყო ხატის წარმომავლობის დადგენა. ოლეგ ზემლიანიკოვმა განაცხადა, რომ ის შეიძინა ქ. ვლადიკავკაზში. ჟენევის ოფისში დაინტერესდნენ ხატის წარმოშობის კანონიერებაში და საქმეში ჩართეს სამართალდამცავები. ჭეშმარიტების დასადგენად, ექსპერტიზა ჩაატარა ბიზანტიური ხელოვნების ექსპერტმა კრასიმირ პლაჩკოვმა და დაადასტურა, რომ ეს არის ბიზანტიური ტრიპტიკონი ცხინვალიდან.**

სპეციალურმა კომისიამ მისი საწყისი ფასი 2 მილიონი აშშ დოლარით განსაზღვრა, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ხატით უმალ დაინტერესდნენ ცხინვალში. ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას. ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჟენევაში შეტყობინება გაგზავნა. ასევე წერილობით მიმართა რუსეთში შვეიცარიის საელჩოს და თბილისში ამ საელჩოს საკონსულო განყოფილებას, მაგრამ „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!“ – პასუხი ვერავისგან მიიღეს. კვლევა სამ წელს გრძელდებოდა. და ბოლოს, **„სამართალმა პური ჭამა“ – 2004 წლის 19 მაისს ჟენევის კანტონის იუსტიციის სასახლეში ხატის საქართველოსთვის ოფიციალურად გადმოცემის ცერემონიალი გაიმართა.**

26 მაისს, ოცი წლის წინათ, თავისუფლების გოლგოთას შემდგარი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ოქონის ტრიპტიკონი გადასცეს.

ასე რომ, ოქონის ღვთისმშობლის ხატი ივერიელთა კუთვნილებაა და მისი ადგილი, სამართლიანად, საქართველოს ეროვნულ სახელმწიფო მუზეუმშია!

**როზერტ ოდიკაძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

# სამართალმა პური უნდა ჭამოს!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 13 სექტემბერს გამოქვეყნდა წერილი „მოდით და ნახეთ დუშეთის უმშვენიერესი ისტორიული უბანი!“**

დუშეთის ისტორიული უბნის ურბანული განვითარების პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტისა და მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 19,2 მილიონი ლარია. გვებადება სრულიად ლოგიკური კითხვა. რატომ არ შეეხო რესტავრაცია და შეკეთება დუშეთის ცენტრში 1914 წელს აშენებულ ნიკო კეზელის სახლს, ის მართლაც ისტორიულია, რადგან მას არაერთი ცნობილი მამულიშვილი სტუმრობდა – ქაქუცა ჩოლოყაშვილი, დანიელ ჭონქაძე, ვაჟა ფშაველა, ნიკო ზოილი, აქვსენტი ცაგარელი და სხვა.

ნიკო კეზელი ცნობილი მეცენატი და კეთილი პიროვნება იყო და მის სახლს ახლაც ამშვენებს ინიციალები „ნ. კ.“ არის ცნობები, რომ შვეიცარიაში ის დაეხმარა ქართველ სტუდენტებს, მათ შორის ფილიპე მახარაძეს, საქართველოში შვეიცარიული ყველის წარმოებაც კი მან დაიწყო. „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა კიდევაც სტატია „მეწარმის სევდიანი ისტორია“, სადაც აღწერილია უხეში გაკულაკება და სიკვდილს გადარჩენილი კეთილი კაცი, რომელიც საჯინიბოში გადაასახლეს, ამ სახლში კი ხან აღმასკომს, ხან პიონერთა სასახლეს, ხან კი მუნიციპალურ სკოლას აწყობდნენ. ნუთუ არ შეიძლება ამ არქიტექტურული სილამაზის ხელის შევლება. სხვათა შორის, ამ ეზოს ტერიტორიაზე იშვიათი ჯიშის ნაძვებია დარგული. მათაც მოვლა-პატრონობა ჭირდება, ისიც ვიცით, რომ ნიკო კეზელის შთამომავლები დუშეთში ხშირად ჩამოდიან და წინაპართა საფლავებსაც პატივს მიაგებენ, ტელევიზიით გადაცემამაც მოეწყო ამ სახლის შესახებ.

ნუ დავივიწყებთ ჩვენს ღირსეულ წინაპრებს. სამართლიანობა უნდა აღსდგეს და ეს სახლი კეზელებს უნდა დაუბრუნდეს.

**ზვიად კარიაული,**
**ზალიკო დუდაური,**
**დავით ბექაური.**
დუშეთიდან.






◉ ვარსკვლავთცვენა

# მადლობა ყველას!

**თანამედროვე ქართული ფეხბურთის აღორძინება თავისთავად ძველი გვარდიისადმი პატივისცემასა და ვეტერანთათვის დამსახურებული საკადრისი პატივის მიგებას გულისხმობს, ამიტომ ტაშკენტის პირველი ტრიუმფის 60 წლის სასახელი იუბილემდე 2 თვით ადრე თბილისში მილანის ვარსკვლავთა ჩამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ისიც სიმბოლურია, რომ ლეგენდების, მატჩს დიდი მიხეილ მესხის სტადიონმა უმასპინძლა.**

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოო ფეხბურთის გრანდების მოწვევის ტრადიცია შარშან ბათუმში ინტერის მიერ ნავსის გატეხვით დაიბადა, ხოლო ამჯერად პროცესში უკვე დედაქალაქიც ჩაება (მსაჯი – **ირაკლი კვირიკაშვილი**).

ზემოთ მოახლოებული სასახელო თარიღი ვახსენეთ და ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გაისად თბილისის დინამოს 100 წელი უსრულდება. ჰოდა, ზუსტად იმის დროა, ხაზი გავუსვათ, ვის არ დავუტკბივართ განვლილი საუკუნის განმავლობაში? კორიფეთა ჩამონათვალი საკმაოდ მოცულობითია და, მართალია, მათ შორის ყველაზე კაშკაშა მარადონა ერთობ სოლიდური ასაკისა გახლდათ, მაგრამ ფეხბურთის ხიბლი ხომ სწორედ იმაშია, რომ დიდოსტატობა საპასპორტო მონაცემებს არ ექვემდებარება?

შესაბამისად, განა ვინმეს მოუბრუნდება ენა და იტყვის, რომ კაკა, რივალდო, სერჟინიო, კაფუ, კოსტაკურტა, დიდა, ამბროზინი, ზეედორფი, პანუჩი და კამპანია უკვე ჩამოწერილნი არიან? რასაკვირველია, არა და ამაში კვლავ დავრწმუნდით.

იგივე შეიძლება ითქვას მასპინძლებზეც, რომელთა მწვრთნელის რანგშიც დებიუტი ჰქონდა კვიპროსის ნაკრებიდან: წამოსულ **თემურ ქეცბაიას,** ვაკეში კი მას შეგირდობას ძველი პარტნიორები უწევდნენ: ქინქლაძე, არველაძეები, იაშვილი, ცხადაძე, კალაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, ჯამარაული, ნემსაძე, დემეტრაძე, მჭედლიძე და ძმანი მათნი.

დავძენთ, რომ ღვთისმშობლობის დღესასწაულზე გულშემატკივარი უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდა.



ასე რომ, სავსებით ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ შესანიშნავი წარმოდგენის ძირითადი დროის შედეგი – 2:2, რომელიც თაობათა კერპების სხვა ეპიზოდებთან ერთად მასპინძელთა პირველმა გოლმა – შედევრმა დაამშვენა იაშვილისა და დემეტრაძის მონაწილეობით, პენალტების სერიაში კი როსონერის სათადარიგო მეკარემ ფიორიმ გაიბრწყინა, ბედის ირონიით, სწორედ იაშკასთან და დემესთან მოგებული დუელებით, სტუმართა ვარსკვლავებმა კი უშეცდომოდ დაარტყეს და სერია 3:1 მოიგეს. მადლობა ყველას!

◉ რაგბი ჩვენი თამაშია!

# ოვალური ბურთით გვნახეთ, ვინა ვართ...



**პორტუგალია რომ თანდათან ჩვენთვის უხერხულ მატოქედ ყალიბდება, საფრანგეთში გამართული უკანასკნელი მსოფლიო თასი ადასტურებს, სადაც ლობუშებთან დაკარგულმა ძვირფასმა ქულებმა არა მარტო ჯგუფიდან პლეი-ოფში გადასვლის შანსი მოგვისპო, არამედ იმ კინკილა ფრემ მომავალი ფორუმის საგზურის ავტომატურად დაუფლებაც უტოპიად გვიქცია.**

მეტ-ნაკლებად მსგავსი ვითარებაა საკლუბო ფრონტზეც, თუმცა იქ ჯერჯერობით, მძაფრ ბრძოლაში, მაგრამ მოსაგებს მაინც ვიგებთ და, მაგალითად, რაგბი ევროპის სუპერთასზეც აქამდე მხოლოდ ჩვენ ვიმარჯვებთ.

საილუსტრაციოდ სადებიუტო გათამაშების ფინალის გახსენებაც კმარა, როცა ლისაბონში შავმა ლომმა, რომ იტყვიან, დიდი სამამულო ომი ლუზიტანუშთან ძლევამოსილად დაასრულა – 17:14.

რაც შეეხება წლევანდელ ტურნირს, მეტოქეებმა იოლად დაჯაბნეს ესპანური იბერიანსი – პირენეელებმა შინ – 36:18, პირველმა ქართულმა ფრანჩაიზმა კი – სტუმრად – 54:3, თანაც მასპინძლებს ერთბაშად 8(!) ლელო დაუდო, ასე რომ, საწყისი წრის ფინიშზე პორტუგალიის დედაქალაქში სასწორზე ბევრი რამ იდო და მათ შორის კავკასიელთა ბრიტანელი მოძღვრის **რიჩარდ კოკერილის** ამბიცია, რომელიც ასევე წარმატებით ავარჯიშებს ბორჯღალოსნებს.

ამთავითვე მოგახსენებთ, რომ სტუმრებმა ამჯერადაც გაამართლეს ფავორიტის სტატუსი და უჩვეულოდ იოლად დაამარცხეს ერთი შეხედვით უხერხული მეტოქე – 38:14, რითაც გათამაშების პირველი წრეც მოიგეს და, რაც არანაკლებ აღსანიშნავია, მისტერ კოკერილსაც დაუდასტურეს იმ გადაწყვეტილების სისწორე, რომლის ძალითაც მან არჩევანი სამწვრთნელო კარიერის საქართველოში გაგრძელებაზე შეაჩერა.

და ბოლოს: შეიძლება ვინმემ ჩათვალოს, რომ ჩვენი გუნდის რესურსს გადაჭარბებულად ვაფასებთ, მაგრამ მაინც ვიტყვით: მომწიფდა ვითარება, გაცილებით მაღალ დონეზე ვითამაშოთ!

◉ ლეგიონერი

# ლიდერის სადარი




**იტალიაში საკალათბურთო სეზონი დაიწყო. სუპერთასის ნახევარფინალში „ვირტუს ბოლონიამ“ „ნაპოლი“ 96:87 დაამარცხა, თორნიკე შენგელიამ კი შესანიშნავი თამაში ჩაატარა.**

ქართველმა კალათბურთელმა 29 წუთში 21 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა, რითაც თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო. შენგელიამ 7-დან 6 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

თორნიკეს მარგი ქმედების კოეფიციენტი 31 გამოდგა, რითაც მატჩის MVP გახდა.

იტალიის სუპერთასის ფინალში „ვირტუსი“ ტრადიციულ მეტოქეს „ოლიმპია მილანოს“ დაუპირისპირდება.

◉ ოლიმპიზმი

# შესანიშნავი შვიდეული

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC) საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. IOC-ის ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, პრეზიდენტობის კანდიდატი შვიდია.**

კანდიდატთა შორის არიან მსოფლიო მძლეოსნობის პრეზიდენტი, ბრიტანელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სებასტიან კოე, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, იაპონელი მორინარი ვატანაბე, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელი, ფრანგი დავიდ ლაპარტიენტი, თხილამურობისა და სნოუბორდის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, შვედი იოჰან ელიაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ესპანელი ხუან ანტონიო სამარანჩ-უმცროსი და IOC-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრები – იორდანიის პრინცი ფეისალ ალ-ჰუსეინი და ზიმბაბველი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი კირსტი ქოვენთრი.

ცოტა ხნით ადრე პარიზში გამართულ IOC-ის სესიაზე IOC-ის პრეზიდენტმა თომას ბახმა, რომელსაც საპრეზიდენტო ვადა გაისად ეწურება, განაცხადა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელ თანამდებობაზე ახალი ვადით კენჭს აღარ იყრიდა.

საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება IOC-ის სესიაზე, რომელსაც 2025 წლის 18-21 მარტს საბერძნეთის ქალაქი ოლიმპია უმასპინძლებს. ახალი პრეზიდენტი თავის მოვალეობას 2025 წლის ივნისიდან შეუდგება.

პრეზიდენტობის კანდიდატები IOC-ის წევრებს თავიანთ პროგრამას გააცნობენ დახურულ სხდომაზე, რომელიც 2025 წლის იანვარში ლოზანაში გაიმართება.

◉ მსუყე უქმეები

# პარალელურ რეჟიმში

**იტალიის სერია – ა-ს მე-5 ტურს ანგარიშგასაწევი ქვეტექსტები უძღოდა წინ, რადგან საფეხბურთო სამყაროში ფრიად საკულტო მილანური დერბის გარდა ამჯერად კალენდარმა არანაკლებ პრინციპული მეტოქეები ტურინის იუვენტუსი და ნაპოლი დააწყვილა ერთმანეთთან, რაც ქართველ ქომაგთათვის გასაგები მიზეზის გამო განვლილი სპორტული უქმეების მშვენებას წარმოადგენდა.**

ალბათ, უმთავრესად აღნიშნულ ფაქტორს უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ გულშემატკივართა ნაწილმა, ვინაიდან კალჩოს შაბათის ცენტრალური მატჩის დაწყების დრო თბილისში ლომბარდიელ ვარსკვლავთა ვიზიტს დაემთხვა, არჩევანი სწორედ კვარას პირველ წლევანდელ სერიოზულ საკლუბო გამოცდაზე შეაჩერა.

ასეთ შემთხვევაში უპრიანია დავსვათ კითხვა – შეეძლოთ თუ არა ვაკეში გამართული ისტორიული სანახაობის ორგანიზატორებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და დედაქალაქის მერიას დაუვიწყარი შოუს ადრე ან მოგვიანებით დანიშვნა, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, შესაბამისი ვარიანტის არსებობის შემთხვევაში, ისინი შემხვედრ ნაბიჯს ისედაც გადადგამდნენ და საზოგადოების ინტერესს ორივე მოვლენის მიმართ აუცილებლად დააკმაყოფილებდნენ, ამიტომ მოდით დავუბრუნდეთ აპენინებზე განვითარებულ მოვლენებს და, უპირველესად, გავიხსენოთ, როგორ მოვიდნენ ლიდერთა ჯგუფის ბინადრები, რომ იტყვიან, 6-ქულიან შეხვედრამდე.

შარშან ბოლონიაში ავტორიტეტმოხვეჭილი ტიაგო მოტას თავკაცობით საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობით მოთამაშე ბებერმა ქალბატონმა სეზონი ყინჩად დაიწყო და, მართალია ორ ხმაურიან გამარჯვებას ამდენივე უსახური ფრე მოაყოლა, მაგრამ ტიფოზებს რწმენა მაინც დაუბრუნა, რომ ოპტიმისტურად უყურონ მომავალს, მით უმეტეს მაშინ, როცა გოლი ჯერ არ ჰქონდათ გაშვებული და რეფორმირებული ჩემპიონთა ლიგის სტარტზე კერკეტი ნიდერლანდური კაკალი პსვ უშანსოდ გატეხეს.

რაც შეეხებათ სტუმრებს, ბიანკონერის მსგავსად, მათმა ახალმა მესაჭემ ანტონიო კონტემ კამპანიელებს უკვე დაატყო თავისი ხელი და მიუხედავად ვერონაში ჩაფლავებული სადებიუტო პრემიერისა, გუნდი მალევე დამუხტა და დელე ალპიზე ვიზიტამდე უკვე მეორე პოზიციამდე აღაზევა, კვარაცხელია – ლუკაკუს წყვილის სახით კი, ბევრის აზრით, გალათასარაიში გადაბარგებული ოსიმენის წასვლით გაჩენილი ვაკუუმი უპრობლემოდ ამოავსო.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, 27-წლიანი პაუზის შემდეგ, პრინციპული ბრძოლა უგოლოდ – 0:0 დასრულდა, თანაც, მოჩვენებითი უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლებმა ზუსტად ერთხელაც ვერ დაარტყეს მეტოქის კარში, სტუმრებმა კი ბოლომდე უერთგულეს კონტეს ტაქტიკას და ქულის მოსაპოვებლად ყველაფერი გაიღეს. ალბათ, ამით უნდა აიხსნას კვარასა და ლუკაკუს შედარებით პასიური თამაში, რასაც მათი შეცვლა მოჰყვა, ყველაზე ნათელი წერტილი კი კამპანიელთაგან მაკტომინეი გახლდათ, რომელმაც უდავოდ გააძლიერა ნახევარდაცვა და სადებიუტო მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა.

ზემოთ დამთხვევა ვახსენეთ და დავძენთ, რომ იმავდროულად ესპანურ ლა ლიგაში შინ ჟირონასთან პირველი გამარჯვება მოიპოვა ვალენსიამ – 2:0, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი ღამურების ქართველი **მეკარე გიორგი მამარდაშვილი** დასახელდა 3 მოგერიებული ბურთით, მათ შორის ურთულესი სეივით მაშინ, როცა ბრძოლის ბედი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი.

და კიდევ: პარალელურადვე თურქეთში გადაბარგებულმა **ვიქტორ ოსიმენმა** გალათასარაის პრინციპულ ბრძოლაში ფენერბახჩესთან შედეგიანი გადაცემით მოამარაგა ნაპოლის კიდევ ერთი ყოფილი ლიდერი **მერტენსი.**



# რუსთავქალაქობა 2024

**რუსთავში „რუსთავქალაქობა 2024“ აღნიშნეს. სადღესასწაულო ღონისძიებები ქალაქის სამ სხვადასხვა ლოკაციაზე, მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და გვიან ღამით გალა კონცერტით დასრულდა.**

დღესასწაულის მთავარი კონცერტი, სიურპრიზით – სპეციალურად რუსთავზე დაწერილი სიმღერების პრემიერით დაიწყო.

ქალაქის დღე განსხვავებულად მიულოცეს და მადლობა გადაუხადეს იმ რუსთაველებს, რომლებიც თავისი საქმიანობით რუსთავის თანამედროვეობას ქმნიან. საღამო ჯგუფი „რეგიონის“ საათნახევრიანი კონცერტით დასრულდა.





# ისევ კონსტიტუციის უხეში დარღვევა!

მესამე გვერდიდან

კი ბატონო, შეკრიბოს ოპოზიციონრები, იყოს დიასახლისი, გაერთიანების იდეის მატარებელი პერსონა, მაგრამ ხაზარაძე-გახარიას, ამ ორი პარტიის ერთმანეთთან შეხვედრა გაუგებარია. თუკი კიდევ აპირებს პრეზიდენტობას და არის ასეთი ვერსიაც, რომ იგი აპირებს პრეზიდენტობას და უნდა, ვინმემ წამოაყენოს მისი კანდიდატურა, ეს გაუგებარია, რადგან კონსტიტუციის ახალი ვერსიით, რომც წამოაყენონ მისი კანდიდატურა ცალკეულმა პარტიებმა, მიიღებს თუ არა პრეზიდენტობას, ეს უკვე იმ თავყრილობაზე იქნება დამოკიდებული, რომელიც პარტიებსაც მოიცავს, რელიგიის და საზოგადოების წარმომადგენლებსაც. ასე რომ, პრეზიდენტობის კანდიდატად მისი წამოყენება არაფრის გარანტი არ არის“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსისთვის გაუგებარია ამ არჩევნებთან დაკავშირებით პრეზიდენტის, როგორც არამაინტეგრირებელი როლის მქონე ადამიანის, გააქტიურება. უფრო მეტიც, არავინ იცის, რატომ წვალობს და რისთვის ირჯება პრეზიდენტი. უცხოეთისთვის თავმოწონება მას შეუძლია სხვა გზითაც. კერძოდ, უფრო ძლიერი გაერთიანებაა „ნაცმოძრაობა“ და დანარჩენი პარტიები. ამდენად, თუკი უნდა, უცხოეთს დაანახოს, რომ ივანიშვილს ებრძვის, მაშინ ძლიერ პარტიებს ჩაუდგეს სათავეში, ახალზედა პარტიებისთვის რატომ ირჯება?! მით უმეტეს, გახარია არც არის ჯერ არჩევნებში ჩართული, გახარიას დიდი გამოცდილებაც არა აქვს არჩევნებში რაიმე შედეგების მოპოვების, ამას გახარია ახლა სწავლობს. ანალოგიურად ახლა სწავლობს არჩევნებში მოქმედებას ხაზარაძეც. ისინი ახალზედები არიან ქართულ პოლიტიკაში. უბრალოდ, პრეზიდენტი ზურაბიშვილი „ნაცების“ მხარეს რომ გადასულიყო, ბევრი ლიდერია იქ, თავს დაესხმებოდა ყველა, მათ შორის, სააკაშვილიც, ამიტომ გადაწყვიტა, აქეთა მხარეს დამდგარიყო.

**„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“** ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** იხსენებს, რომ ჯერ კიდევ თვეების წინ, როდესაც ინტენსიურად დაიწყეს ორბელიანის სასახლეში ცალ-ცალკე და ერთად ე.წ. ოპოზიციურმა ჯგუფებმა სიარული, ინფორმაციამ გაჟონა, რომ ეს ოპოზიციონრები პრეზიდენტთან მოლაპარაკებულნი იყვნენ. მერე იყო ქარტიის გაფორმება და შეხვედრა ღია ცის ქვეშ, როდესაც ერთმანეთის გვერდით იდგნენ და ტაშს უკრავდნენ ისეთი „ნაცები“ და „ნაცებთან“ ასოცირებულები, რომლებიც მანამდე უწმაწური სიტყვებით მოიხსენიებდნენ ზურაბიშვილს, რაც მამაკაცმა ქალს არ უნდა აკადროს.

პეტრე მამრაძის თქმით, იქვე იდგა გიორგი ვაშაძე, რომელსაც უწმაწური სიტყვა არ გამოუყენებია, მაგრამ უარესი თქვა, ეს ქალი არის რუსული ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტი რუსეთის ხელშიო. ასეთი სიტყვების მიუხედავად, ოპოზიციონრები იდგნენ და ტაშს უკრავდნენ ზურაბიშვილს, რადგან მათ სჭირდებათ პრეზიდენტის სტატუსი დასავლეთის თვალის ასახვევად.

„კარგად მახსოვს მათი არგუმენტი, ეს ზურაბიშვილი მანანა არჩვაძეზე უარესია, ოღონდ ენების მცოდნეაო. ჩვენი მეხუთე კოლონა შეჰპირდა ზურაბიშვილს, აწი ყველაფერი გააკეთე, რასაც გეტყვით და როცა მოვალთ უმრავლესობით, შენ აგირჩევთ მეორე ვადით პრეზიდენტად. შესაძლოა, დასავლეთის ხათრით მართლაც აირჩიონ ზურაბიშვილი, რადგან დასავლეთში ჩვენს პრეზიდენტს მართლაც აქვს თავდადებული, თავგანწირული, ნამდვილი ევროპელის იმიჯი, რომელიც თურმე იბრძვის კრემლის ხელისუფლების წინააღმდეგ თუნდაც იმპიჩმენტის პირობებშიც. ხომ ხედავთ, lgbtQ-ს მქონე გერმანელმა მაიკლ როთმა რომ თქვა, თქვენ ახლა გჭირდებათ გმირი და გმირი გყავთ ზურაბიშვილის სახითო. ამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კონსტიტუციის მუხლი შედის ძალაში და ამიერიდან პრეზიდენტს უკვე აირჩევენ პარლამენტის წევრები და რამდენიმე სტრუქტურა, როგორიცაა აჭარის პარლამენტი, აფხაზეთის წარმომადგენლობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ანუ 300-მდე ადამიანი. რა თქმა უნდა, ვინც პარლამენტში გაიმარჯვებს, მას აქვს ძირითადი წონა. ხომ თქვა ზურაბიშვილმა, მზად ვარ მეორე ვადისთვისო. მანამდე ლაპარაკი იყო, რომ ეს ქალბატონი ახირებული ადამიანია, ფრანგები ჯერ კიდევ როდის მაფრთხილებდნენ, ამაზე ახირებული ქალი არ გვყავდა მთელ საგარეოშიო. ახლაც არ გამიკვირდება, ამ ქალმა არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადოს, რადგან იცის, რამხელა წონა ექნება საერთო სახალხო არჩევნებით და არა პარლამენტის არჩევნებით არჩეულ ქვეყნის პრეზიდენტს, „ოცნებამ“ ძლივს რომ გაათრია მეორე ტურში“, – აღნიშნა პეტრე მამრაძემ.



**სხვათა შორის, შეგვარცხვინა გიგაურმა თავისი ინგლისურით, არადა, 14 წელია, „გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელია, ინგლისური მაინც ესწავლა. აქამდე დავიდნენ სენატორები, რომ გიგაურს უსმენდნენ.**

მისივე თქმით, გაუგებარია ბოლო პერიოდში კონკრეტულ ადამიანებზე დაწესებული სანქციები. რომელმა უცხოელმა შეისწავლა, მორგოშია რას აკეთებდა, ეს იყო აქედან მიწოდებული ინფორმაცია. ან კიდევ, ვის მოუვიდა თავში კაპიტანი გიგაურის კონგრესში დაბარება, გაცილებით „საინტერესოდ“ მოყვებოდა ყველაფერს მერაბიშვილი ან ადეიშვილი, გამოეძახებინათ ისინი კონგრესში და მოესმინათ დუეტი მერაბიშვილ-ადეიშვილის მონაწილეობით.

**„სხვათა შორის, შეგვარცხვინა გიგაურმა თავისი ინგლისურით, არადა, 14 წელია, „გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელია, ინგლისური მაინც ესწავლა. აქამდე დავიდნენ სენატორები, რომ გიგაურს უსმენდნენ. ბუნდესტაგშიც არაფერი იცოდნენ, ადეიშვილი რომ დაუსვეს, ეს მათი მინუსია, ხომ უნდა შეემოწმებინათ, რას წარმოადგენდა ეს ადეიშვილი საქართველოსთვის. ასევე დაემართათ კანადაშიც. ზელენსკი რომ ჩავიდა, კანადელებმა დიდი ამბით მოუწყვეს სიურპრიზი, აი, ჩვენი მოქალაქე, წარმოშობით უკრაინელი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, 98 წლის ადამიანიო და ტაშის გრიალით შეხვდნენ ამ კაცს. შემდეგ დაიწერა, რომ ეს კაცი ნაცისტების წარმომადგენელი იყო და ებრაელებს ხოცავდა, ზელენსკიმ კი სირცხვილი ჭამა. ასეთი რამ ადრე ევროპაში არ ხდებოდა. გვარამიასთან ვინ დადგებოდა და ვინ გადაიღებდა ფოტოს, როცა სამი კვირით ადრე სტრასბურგის სასამართლომ გამოაცხადა, რომ სწორია საქართველოს სასამართლო და კრიმინალია ეს ტიპი. სამწუხაროდ, ახლა დასავლეთში ყველაფერი აყირავდა, 20-25 წლის წინ ეს გამორიცხული იყო. ამას ჰქვია პოსტმოდერნისტული რევოლუცია დასავლეთში“,** – დასძინა პეტრე მამრაძემ.

**მანანა ნოზაძე**




# თაღლითი დარჩო 8-წლიანი ძებნის შემდეგ დააკავეს!

**8-წლიანი ძებნის შემდეგ ქართველმა სამართალდამცავებმა ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი და გივი თარგამაძის მკვლელობის მცდელობისთვის გასამართლებული დარჩო ხეჩუაშვილი დააკავეს.**

საქართველო-თურქეთის საზღვარი, კარწახის მონაკვეთი, მწვანე ზოლი – 8 წლის განმავლობაში ძებნილი დარჩო ხეჩუაშვილი საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლას სწორედ ამ გზით ცდილობდა. შს სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, ის თავდაპირველად სათვალთვალო კამერებმა „გამოიჭირეს“, ხოლო მას შემდეგ, რაც მესაზღვრეებმა შეაჩერეს, ვინაობის დამალვას შეეცადა.



რა მიზნით შემოვიდა საქართველოში ყოფილი დეპუტატის მკვლელობის მცდელობაში მსჯავრდებული კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი, რომელსაც დაუსწრებლად 18-წლიანი პატიმრობა უკვე შეფარდებული აქვს – ეს ახლა გამოძიებისთვის ერთ-ერთი მთავარი კითხვაა. მოახლოებული არჩევნების ფონზე ისმის კითხვები პოლიტიკოსების მხრიდანაც, რადგან გივი თარგამაძეზე თავდასხმაც, 2016 წელს, სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა. შს სამინისტროში ხეჩუაშვილის საქართველოში შემოსვლის მოტივთან დაკავშირებით ამ დღეებში კონკრეტული არაფერი უთქვამთ. აღინიშნა, რომ ეს შემდგომი გამოძიების საგანია.

დარჩო ხეჩუაშვილს ამ ეტაპზე არ ჰყავს ადვოკატი. მსჯავრდებულის მამა ამბობს, რომ 8 წელია, შვილთან კონტაქტი არ ჰქონია, მის შესახებ არანაირი ცნობები არ მიუღია და არც ის იცოდა – იყო თუ არა ცოცხალი...

# მოძალადე სამართალდამცველი

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ, სამეგრელოს რეგიონში მოქალაქის მიმართ განხორციელებული ჯგუფური ძალადობის, მუქარისა და იძულების ფაქტებზე მხილებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი. ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელს, 2022 წლიდან მის მეზობელთან კონფლიქტი ჰქონდა. აღნიშნული კონფლიქტის ნიადაგზე, 2024 წლის 10 აგვისტოს ბრალდებულს და დაზარალებულს სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდათ, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, კერძოდ, სამართალდამცავმა და მისმა ოჯახის წევრმა მათი მეზობელი-დაზარალებული დააგდეს მიწაზე და სხეულის სხვადასხვა არეში ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს. ძალადობის შედეგად დაზარალებულმა სისხლმდენი დაზიანებები მიიღო. ამასთან ძალადობის შემდეგ, ბრალდებული დანის გამოყენებით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა დაზარალებულს, თუ ეს უკანასკნელი აღნიშნული ფაქტის შესახებ სამართალდამცავ უწყებაში განაცხადებდა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებულის მომართვისთანავე, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა. დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის დადგენის მიზნით დანიშნულია სამედიცინო ექსპერტიზა. გამოიკითხნენ საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირები, ჩატარდა საქმისთვის მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები, რის საფუძველზეც ჯგუფური ძალადობის, სიცოცხლის მოსპობის მუქარისა და იძულების ფაქტებზე, საქართველოს პროკურატურის მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე, სამართალდამცავს და მის ოჯახის წევრს წარედგინათ ბრალდებები.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1 (პრიმა) ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 150-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 151-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

**დანაშაული 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს!**

# ავარია წინამურის გზაზე

**წინამურის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.** ავარია მსხვერპლით დასრულდა. გარდაცვლილი მოპედის მძღოლია.

შსს-ის ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო.

# აშშ-ში პატიოსანმა შერიფმა მოსამართლე მოკლა

**აშშ-ის კენტუკის შტატის ქალაქ უაითსბურგში, შერიფმა მიკი სთაინზმა მოსამართლე კევინ მალინზი საკუთარ კაბინეტში მოკლა, – ინფორმაციას The New York Times-ი ავრცელებს.**

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შერიფი მოსამართლის მისაღებში შევიდა და იქ მყოფ ადამიანებს სთხოვა, მოსამართლესთან მარტო დაეტოვებინათ. შემდეგ შერიფი და მოსამართლე შევიდნენ კაბინეტში და კარები დაკეტეს, რის შემდეგაც გასროლის ხმა მალევე გაისმა.

მკვლელობის ჩადენის შემდეგ შერიფი გარეთ აწეული ხელებით გამოვიდა და პოლიციას ჩაბარდა.

დანაშაულის მოტივი ოფიციალურად უცნობია, თუმცა, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, შერიფმა და მოსამართლემ სასამართლოს შენობაში იკამათეს.

კევინ მალინზი მოსამართლედ 2009 წლიდან მუშაობდა.

# სროლები ალაბამას შტატში

**აშშ-ის ალაბამას შტატში, ქალაქ ბირმინგემში მასობრივი სროლის შედეგად სულ მცირე ოთხი ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა BBC ავრცელებს.**

პოლიციამ შემთხვევის ადგილზე ორი კაცის და ერთი ქალის ცხედარი იპოვა, ხოლო მეოთხე მსხვერპლი საავადმყოფოში მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

ბირმინგემის პოლიციის ოფიცერმა ტრუმენ ფიცჯერალდმა განაცხადა, რომ „ხალხის ჯგუფს რამდენიმე მსროლელმა რამდენჯერმე ესროლა“. მისივე თქმით, ამ დროისთვის მიმდინარეობს გამოძიება. პოლიციას ეჭვმიტანილი არ დაუკავებია.

## სიყმაწვილიდანვე თანშეზრდილი (გიორგი გაჩეჩილაძეს)



უხდებოდა მანჟეტებს,
აწვართული ტანი;
მედიდურს რომ ჩამოგავს,
ჰქონდა თვისებანი.

არასოდეს სჭერია –
თოხი, ბარი, კევრი...
მაგიერად, უებრო,
გახლდათ ენამჭევრი.

პრეზიდენტად არჩეულთ,
უდგებოდა მრჩევლად;
ერთმაც არ გაუმართლა,
ნეტა ვინ დასწყევლა?!

კარტს ჩითავდა პოკერში,
ტუზს უცდიდა, კოზირს;
როკს უსმენდა, ბატონი
იყო ბაროკოსი.

შევრჩი ცრუ წუთისოფლის,
ზრიალსა და ხრიგინს;
ისე, დღე არ გაივლის,
არ ვინატრო იგი.

გაიელვა, წუხელაც,
ბნელში, თვალთა შუქმა;
დაბადებით კეთილმა,
ბევრს გაუყო ლუკმა.

სასთუმალთან ეკიდა,
ბოლოს, წიგნის თარო...
ახლაც, ყურში ჩამესმის,
მისი: „შე თათარო!..“

საღამოთი უყვარდა
მხარ-თეძოზე წოლა;
პიკარესკულ რომანთა
კითხვამ შეიყოლა.

ბედნაკლულთა საშველად,
ენთო შუქი, მწვანე;
ლამაზჩელი რაინდის
იყო მოთაყვანე.

**ემზარ კვიტაიშვილი**

15 სექტემბერი, 2024 წელი

## ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში დოდო აბაშიძის გამოფენა გაიხსნა





**დოდო აბაშიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გამოფენა „დოდო აბაშიძე – 100“ გაიხსნა.**

ეროვნული არქივის ინფორმაციით, ექსპოზიციაზე წარმოდგენილია დოდო აბაშიძის თეატრალური და კინოროლების ამსახველი ფოტოები, მისი პორტრეტები და საოჯახო არქივში დაცული სურათები. ექსპოზიციის პარალელურად საგამოფენო პავილიონში გაიმართა საქართველოს ფოსტის მიერ გამოცემული, დიზაინერ ბადრი გაგნიძის შექმნილი საფოსტო მარკის „დავით (დოდო) აბაშიძე – 100 წელი” პრეზენტაცია.

გამოფენა ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა და დოდო აბაშიძის შვილმა ზაზა აბაშიძემ გახსნეს. საიუბილეო საფოსტო მარკა საზოგადოებას საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ წარუდგინა.

ამასთან, დოდო აბაშიძის საიუბილეოდ თბილისის საარქივო ფილმების მესამე საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში საქართველოს ეროვნული არქივის კინოთეატრში წარმოდგენილი იყო რეჟისორ ნანა მჭედლიძის „პირველი მერცხალი“.

გამოფენა ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

## ნაპოვნია მოცარტის აქამდე უცნობი ნაწარმოები



**გერმანიაში, ქალაქ ლაიფციგში ავსტრიელი კომპოზიტორის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის აქამდე უცნობი ნაწარმოები აღმოაჩინეს.**

**ინფორმაცია ქალაქის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

ნოტები ბიბლიოთეკის მუსიკისადმი მიძღვნილ ნაწილში იპოვეს. ექსპერტების განმარტებით, ეს 1789 წელს გაკეთებული ასლია და არა მოცარტის მიერ დაწერილი ორიგინალი.

ნაწარმოები ბიბლიოთეკის კატალოგში აღნიშნულია როგორც „ძალიან პატარა ღამის კომპოზიცია“, ის 1760-იანი წლების ბოლოთი არის დათარიღებული, როდესაც მოცარტი 14 წლის იყო და 3-სიმიანი ინსტრუმენტისთვის დაწერილი შვიდი მინიატიურისგან შედგება. მათი ხანგრძლივობა დაახლოებით 12 წუთია.

19 სექტემბერს ნაწარმოები მოცარტის მშობლიურ ზალცბურგში შეასრულეს, 21 სექტემბერს კი ლაიფციგის ოპერაში.

## ნოტრ-დამის ტაძარში ცნობილი ფრანგი პოეტის საფლავი აღმოაჩინეს



**ნოტრ-დამის ტაძარში, ხანძრის შემდგომი აღდგენითი სამუშაოების დროს, ცნობილი ფრანგი პოეტის, დიუ ბელე ჟოაშენის საფლავი აღმოაჩინეს.**

მეცნიერების თქმით, ისინი თითქმის დარწმუნებული არიან, რომ ტრანსეპტის ქვეშ ნაპოვნ ტყვიის კუბოში დიუ ბელე ჟოაშენის ცხედარია. პოეტი პარიზში 1560 წელს 37 წლის ასაკში გარდაიცვალა.

არქეოლოგების მიერ, აღდგენითი სამუშაოების დროს გაკეთებული აღმოჩენები ნოემბერში, ტაძრის ხელახლა გახსნამდე ცოტა ხნით ადრე გამოიფინება.

## როულინგის კონცენტრირება „ფუტურისტულ“ ნაწარმოებზე



**ბრიტანელმა მწერალმა, „ჰარი პოტერის“ ავტორმა ჯოან როულინგმა გაამხილა, რომ ახალ წიგნზე დაიწყო მუშაობა.**

სოციალურ ქსელში

მან განმარტა, რომ სამი ახალი წიგნი უკვე დაწყებული აქვს, თუმცა პირველ რიგში „ფუტურისტულ“ ნაწარმოებზე აპირებს კონცენტრირებას.

„ეს არ არის კოსმოსური ოდისეა, ბოდიში. წიგნი დანამდვილებით უკავშირდება დედამიწას“, – დაწერა როულინგმა.

უცნობია როდის წარადგენს მწერალი ახალ ნაწარმოებს. ამ ეტაპზე ის ასევე მუშაობს დეტექტივ კორმორან სტრაიკის შესახებ სერიის მერვე წიგნზე, სახელწოდებით „ადამიანი დაღით“. ამ სერიაში, რომელსაც როულინგი რობერტ გელბრეითის ფსევდონიმით აქვეყნებს, კიდევ 2 წიგნის გამოცემა იგეგმება.

## სამხრეთ აფრიკაში დიდთოვლობაა

**ქვეყანაში წარმოუდგენლად დიდი თოვლი მოვიდა. რის გამოც, საავტომობილო გზები ჩაიხერგა.**

განსაკუთრებით დაზარალდა N3 გზატკეცილი, რომელიც იოჰანესბურგსა და დურბანს აკავშირებს ერთმანეთთან. მაშველები მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ იმ მანქანებთან მიღწევას, რომლებიც დიდთოვლობის გამო გზებზე გაიჭედნენ, რათა მანქანებში მყოფი მოქალაქეები გამოეყვანათ.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, დიდთოვლობის გამო, ძირითადი გზების გარდა შემოვლითი გზებიც გადაკეტილი იყო, რის გამოც მოძრაობა შეიზღუდა და გზების გარკვეულ მონაკვეთში, მოქალაქეებს ავტომობილებში მოუწიათ ღამის გათენება.

## ქართულ-უცხოური ფოლკლორი რაჭაში...




**ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი ამბროლაურში ღია ცის ქვეშ კონცერტით გაიხსნა.**

ფოლკლორის ცენტრის ინფორმაციით, საღამო მასპინძელმა ანსამბლებმა გახსნეს, შემდეგ კი სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართველი და უცხოელი შემსრულებლები.

სტუმრებმა ქართულ ფოლკლორულ ნიმუშებთან ერთად საკუთარი ქვეყნის სიმღერებიც შეასრულეს.

ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც საქართველოში მეხუთედ ტარდება, 23 სექტემბერს თბილისში გალა კონცერტით დაიხურება.

### უცხოური ვალუტის კურსი:

**აშშ დოლარი - 2.7277; ევრო - 3.0441;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6242;**
**100 რუბლი - 2.9473; თურქული ლირა - 0.0800;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6039;**
**1000 სომხური დრამი - 7.0401.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია** (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაკიძე** (597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი: **ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **რუსუდან ქობულია** (577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები: **ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი **გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:** თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:** sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 25 სექტემბერს